დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბათუმის ქართულ - ამერიკული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:

- მაკა ტუკვაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
- ინგა ლომაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- გიორგი ნებიერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
- დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
- ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- ციცინო თორია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- გიორგი კოპლატაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- ვერა სომხიშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბათუმის ქართულ - ამერიკული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 445519537

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117
საფოსტო ინდექსი	6004
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http//gasb.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	http//gasb.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577400 871/0422 240002; +995(577) 240004

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 26 მარტის, ბრძანება MES 3 24 0000357467 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და და შპს ბათუმის ქართულ - ამერიკულ სკოლაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 22 და 23 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ბათუმი, პეტრე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ბაგრატიონის N117
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 26 მარტის MES 3240000357467 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), წევრები: მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); გიორგი ნებიერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ციცინო თორია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); გიორგი კოპლატაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ვერა სომხიშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შპს ბათუმის ქართულ - ამერიკულ სკოლაში.
ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 22-23 აპრილს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ქ. ბათუმში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა	**აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილების ზღვრული რაოდენობა		ზღვრული რაოდენობა
700	516	700

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ქართულ ამერიკული სკოლა მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეთა ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. მოტივაციის ამაღლების მიზნით შექმნილი მრავალფეროვანი კლუბები და აქტივობები ემსახურება ყველა მოსწავლის ინტერესებისა და პოტენციალის განვითარებას. სკოლაში ჩატარებულია არა ერთი ლიტერატურული თუ სხვა შიდა სასკოლო კონკურსი და გამოცემულია კრებულები, რომლებშიც გამარჯვებული მონაწილეების ჩანახატები, ქართულ და ინგლისურ ენებზეა შესული. სკოლა სრულად აფინანსებს სკოლის გარეთ მოსწავლეების სხვადასხვა აქტივობებში ჩართვას, მათ შორის ეხმარება მათ ინგლისურ ენაში საერთაშორისო გამოცდებისთვის მზადებაში და აფინანსებს გამოცდებში მონაწილეობის ხარჯებს.

სკოლა ზრუნავს ასევე მასწავლებელთა და ზოგადად მთელი პერსონალის განვითარებაზე. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მათ მოწვეული მაღალკვალიფიციური ექსპერტ-კონსულტანტების ტრენინგებით და ვორქშოფებით. აღსანიშნავია, რომ მიღებულ ცოდნას, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად და გასაუმჯობესებლად. მაგ, პანდემიის პერიოდში მასწავლებლების მიერ შეიქმნა ვიდეო გაკვეთილები, რომლებსაც მოსწავლეები დღესაც წარმატებით იყენებენ სასწავლო მასალის უკეთ ასათვისებლად.

საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის უფასო კვებას, კარგ სადაზღვევო პაკეტს და სოლიდურ ფასდაკლებას მათი ოჯახის წევრების სწავლებისთვის (50%).

აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლაში პანდემიის პერიოდში სკოლის მასწავლებლების მიერ მომზადდა ელექტრონული რესურსები (ვიდეო გაკვეთილები), რომლებიც დღესაც იქმნება და გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს შესაბამისი ვიდეო გაკვეთილების ბანკი სხვადასხვა საგანში, საჭიროების შემთხვევაში (თუ მოსწავლემ გააცდინა გაკვეთილი ან/და საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას, მასწავლებელი უზრუნველყოფს ვიდეო გაკვეთილის ბმულის გაზიარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და	■ შეესაბამება

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღირებულებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 700	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒**	**აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)**
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისი“

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N …		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N….		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N.		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ: პირველი კლასის, მე-2 კლასის და მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოების (ცხრილების) მიღმა მიებას ყველა ის დანართები, რომელიც არის მითითებული ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოებში. მე-2 კლასის თემა „ხმელეთი, როგორც გარემოს“ მესამე საკითხის - „სუფთა და უსაფრთხო ხმელეთის“ შესასწავლად დაემატოს ელექტრონული რესურსები. მე -3 კლასის თემა „მზის სისტემის“ სამიზნე ცნებაში „სხეული“ შეივსოს ქვეცნებები, მაგალითად „მსუბუქი და მძიმე სხეულები“ და „მყარი, თხევადი და აირადი მდგომარეობა“, იგივე გაკეთდეს სამიზნე ცნებაში “გარემოს დაცვა” და დაემატოს ქვეცნება, მაგალითად, „გარემოს დაცვის ღონისძიებები”.5კლასის თემა „კოსმოსში“ სამიზნე ცნებას „ორგანიზმი“, ჩაემატოს ქვეცნება/ები, რადგან მოსწავლემ უნდა შესძლოს მსჯელობა მზის სისტემაში (მაგალითად, დედამიწაზე და მარსზე) სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შესახებ, მე-2 თემა - „ეკოსისტემებში“, სამიზნე ცნებებს “სხეული” და „მოვლენა, პროცესში“ დაემატოს ქვეცნებები, რადგან აქაც მოსწავლემ უნდა შეძლოს ეკოსისტემების ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტების და ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა. მე-3 თემაში -„მოვლენები ჩვენ გარშემო“ სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული ობიექტი” დაემატოს ქვეცნება, რომელიც შესაძლებელია დამუშავდეს, მაგალითად პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		სამუშაოზე დაყრდნობით ან/და დედამიწის სტრუქტურის აღწერის დროს. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში, „კომპლექსური დავალების იდეის“ და „მაგალითი შედარებისთვის“ სვეტებში გადაიხედოს ჩანაწერები, რომელებიც უნდა იყოს ასახული მოკლედ, ლაკონურად და კორექტულად.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**	**სახელწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.
ინდიკატორი N 2.3.1.3	**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**	**საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტით რჩევით,** სასურველია შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა <u>გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის</u> შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციებს გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**	**საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ: მე-8, მე-9 კლასების ბიოლოგიის კურიკულუმებში, აისახოს ქვეცნებები; ქიმიის ფიზიკის ბიოლოგიის (8 კლ) საფეხურის ყველა კურიკულუმის ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - "სასწავლო რესურსები" „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის" ნაცვლად, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ბეჭდური, ელექტრონული წყაროები, ინტერნეტ და საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსები, სპეციალურად შექმნილი რესურსები.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**	**სახელწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.
ინდიკატორი N 2.2.2.2	**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერეების საგნობრივი ექსპერტის რჩევით**, სასურველია, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტმა ითანამშრომლოს სხვა სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებთან STEM-პროექტების განხორციელებისთვის, ასევე გამოიყენოს უნიკალური სასკოლო ბაზა არაფორმალური განათლების განსახორციელებლად, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია , ფიზიკა, ბიოლოგია) კლუბები, წრეები და ა.შ.
ინდიკატორი N 2.3.1.3	**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**	**საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** სასურველია შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა <u>გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის</u> შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციებს გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა** - მათემატიკის დეპარტამენტმა განახორციელოს კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალო საფეხურზე, რათა უზრუნველყოს მიღებული ცოდნის რეალიზებას და სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარებაში. **საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით სასურველია,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ: მე-10 და მე-11 კლასების ბიოლოგიის კურიკულუმებში აისახოს ქვეცნებები და შეივსოს გამოტოვებული სამიზნე ცნებები. მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში დაკორექტირდეს პირველი თემის და საკითხების (ძირითადი) დასახელება. გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი საკითხის ქვეშ მოიაზრება საკითხთა კლასტერი ან ქვეთემა, რომელშიც შემავალი საკითხები ურთიერთდაკავშირებულად მუშავდება. კლასტერის ფარგლებში ერთ-ერთ ერთეულს ენიჭება ძირითადი საკითხის სტატუსი, რომელსაც შესაძლოა ქვეთემის სტატუსიც ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, "უჯრედის კომპონენტები" და "უჯრედის ქიმიური შემადგენლობა", ეს არის არა თემების სახელწოდებები, არამედ, ძირითადი საკითხების ან ქვეთემების დასახელებები, რომელთაც შეესაბამება კურიკულუმში ასახული საკითხთა კლასტერები, ამიტომ, მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში პირველი თემის დასახელებას უფრო შეესაბამება სათაური, მაგალითად, "უჯრედის ბიოლოგია", სადაც "უჯრედის კომპონენტები", "უჯრედის ქიმიური შემადგენლობა" და "უჯრედული მეტაბოლიზმი" არის ძირითადი საკითხები. ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საშუალო საფეხურის ყველაკურიკულუმის ჩარჩოებში ბოლო სვეტს - „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის" ნაცვლად დაერქვას "სასწავლო რესურსები", სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ინტერნეტ და საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი რესურსები.
ინდიკატორი N 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი სკოლას ურჩევს: განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ასევე დაეხმარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარებაში. სახელწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.
ინდიკატორი N 2.2.1.4	**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** სასურველია მასწავლებლებმა განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს პირობისეული ცოდნის შეძენაში.
ინდიკატორი N 2.2.2.2	**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერეების საგნობრივი ექსპერტის რჩევით,** სასურველია, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტმა ითანამშრომლოს სხვა სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებთან STEM-პროექტების განხორციელებისთვის, ასევე გამოიყენოს უნიკალური სასკოლო ბაზა არაფორმალური განათლების განსახორციელებლად, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია , ფიზიკა, ბიოლოგია) კლუბები, წრეები და ა.შ.
ინდიკატორი N 2.3.1.3	**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის**	**საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტით რჩევით,** სასურველია შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	გადაჭრის გზას/საშუალებას.	კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა <u>გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის</u> შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციებს გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია გულისხმობს - აღზარდოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული, სამართლიანი, პასუხისმგებლიანი და მაღალი ადამიანური ღირებულებების მქონე მსოფლიო მოქალაქე.

სკოლის ხედვაა: სკოლის გრძელვადიანი (2030) ხედვის შესაბამისად, იგი არის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით და ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფილია ყველა პირობა მოსწავლის აკადემიური წარმატებისათვის, ასევე, მათი ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის.

ღირებულებებია:

- განვითარებაზე ორიენტირებულობა
- გუნდურობა
- სამართლიანობა
- გამჭვირვალობა
- კეთილსინდისიერება

წარმოდგენილ მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში ასახულია სკოლის მისწრაფებები და ძირითადი ორიენტირები და ისინი გამომდინარეობს და **შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიაში და ხედვაში ჩანს, რომ ის ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაზე. რასაც ადასტურებს ჩანაწერი **მისიაში:** ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მისცეს ფუნდამენტი გლობალიზაციის ეპოქაში წარმატების მისაღწევად როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ხოლო ხედვაში სკოლა აქცენტს აკეთებს გლობალიზაციის პირობებში მოსწავლის პასუხისმგებლიან პიროვნებად ჩამოყალიბებასა და მის ემოციურ და ფსიქო-სოციალური განვითარებაზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს **პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის შექმნას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის მისიის განაცხადი და ხედვა ჩამოყალიბდა სკოლის დაფუძნების შემდეგ (2017 წ.), ამასთან, რამდენიმეწლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ, სტრატეგიული დაგეგმვის ახალ ეტაპზე, სასკოლო საზოგადოებამ იმსჯელა მისიის და ხედვის განაცხადზე და მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტში - „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა" გაწერილი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების წესის თანახმად, შექმნა სამუშაო ჯგუფი (დირექტორის ბრძანება N01-99, 2023 წლის 5 მაისი). სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომების ამსახველი ოქმებები, რომელთა გაცნობის შედეგად დგინდება, რომ პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლის დირექტორი, სკოლის დაწყებითი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სკოლის ორგანიზაციული, განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი, სამუშაო ჯგუფის მდივანი, სკოლის ფინანსური მენეჯერი, სკოლის სამეურნეო მენეჯერი, სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სკოლის არაფორმალური განათლების კოორდინატორი, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფმა მეთოდოლოგიით შემუშავებული წესების თანახმად, განახორციელა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების იდენტიფიცირება. მათ გამოავლინეს სასკოლო საზოგადოების წევრების მოლოდინები და მისწრაფებები. ამ მიზნით პერიოდულად ხორციელდებოდა ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სკოლის ვებგვერდისა და სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რამაც ხელი შეუწყო სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ნდობის ამაღლებას საზოგადოებაში. სკოლაში ასევე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები პირისპირ ფორმატში. სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის პროცესში სამუშაო ჯგუფი ასევე ორიენტირებული იყო სკოლის სერვისებზე ბათუმის მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებაზე. სამუშაო შეხვედრაზე ძირითადი განაცხადის ჩამოყალიბების შემდეგ, უკუგების მიღების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა პროექტი გაუზიარა სასკოლო საზოგადოების წევრებს სკოლის ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული პროექტები განიხილა შემაჯამებელ სხდომაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ოქმები და შეხვედრებზე დასწრების ხელმოწერილი დოკუმენტები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც უკვე აღინიშნა (1.1.1.3) შპს ბათუმის ქართულ ამერიკულმა სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი, და საბოლოო სახის მიცემამდე დოკუმენტი პროექტის სახით გადაუგზავნა მათ საბოლოო სახის მიცემამდე. შესაბამისად დასტურდება, რომ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის გამოკრულია სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას, საჯაროობის მიზნით ის გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვედზეც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება - „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან (მუხლი 2, პ. „ჟ“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
- სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ (დირექტორის ბრძანება N01-99, 2023 წლის 5 მაისი
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- SWOT ანალიზი
- კითხვარები
- სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა" განსაზღვრულია (მუხლი 5.) სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავების წესი. წესი აღწერს მმართველობითი პროცესის - სტრატეგიული და განვითარების დაგეგმვის ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ის ასევე, განსაზღვრავს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სკოლაში ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე. ის ეფუძნება სკოლის წარსულ გამოცდილებას და საქმიანობის შეფასებას, რაც შესაძლოა, წარმოდგენილი იქნეს სიტუაციური ანალიზის სახით. ამ მიზნით, გროვდება სკოლის საქმიანობის და მიღწევების შესახებ ინფორმაცია, მხედველობაში მიიღება სხვადასხვა კვლევა (მაგ ბაზრის კვლევა), რომელიც ორგანიზაციის მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ტარდება. სკოლა ასევე ითვალისწინებს საკანმონმდებლო ან/და სკოლაში მოქმედი სხვადასხვა რეგულაციას, მათი შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით. შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მზადდება ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების შესახებ SWOT ანალიზის სახით.

სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის სტრატეგიულ მიზნებს და მათ მისაღწევად ამოცანებს. ის ასევე, მოიცავს სტრატეგიის დანერგვის გეგმას (კალენდარულ გეგმას). წესში ასევე აღნიშნულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილება შესაძლოა, გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: საკანონმდებლო ცვლილებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის ცვლილება, რაც გავლენას ახდენს სკოლის სტრატეგიულ მიზნებზე, სკოლის მენეჯმენტის ცვლილება, მისიის ცვლილება, ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გარემოებები, თუ შეიმჩნევა, რომ სტრატეგიული მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება, საგანმანათლებლო ბაზარზე გამოკვეთილი ახალი მოთხოვნები და ა.შ. სტრატეგიული განვითარების გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმად სამოქმედო გეგმაში აისახება: სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები (შესაძლოა, აქტივობები დაზუსტდეს ქვეაქტივობებად), ინდიკატორები, განხორციელების ვადები (კალენდარული გეგმა), თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, აუცილებელი რესურსები. სამოქმედო გეგმაში ასევე ხორციელდება სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებისას გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინება. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არწერილია ასევე სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის წესი, რაც გულისხმობს შუალედური მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას და ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში განხორციელებული ცვლილებს. სამოქმედო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მექანიზმები. **ინდიკტორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 ს/წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N01-37, 2023 წლის 01 სექტემბერს, შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ დირექტორის 2023 წლის 30 აპრილის N01-07 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის, მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე იმუშავა ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა დირექტორის ბრძანებით N01-09 2023 წლის 05 მაისისს. ჯგუფში ჩართული იყვნენ: სკოლის დირექტორი, სკოლის დაწყებითი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სკოლის ორგანიზაციული, განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი, სამუშაო ჯგუფის მდივანი, სკოლის ფინანსური მენეჯერი, სკოლის სამეურნეო მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სკოლის არაფორმალური განათლების კოორდინატორი, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, სკოლის დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლები. წარმოდგენილ გეგმაში განსაზღვრულია სკოლის მიზნები და ძირითადი კონცეფცია, რომლის თანახმად - სკოლაში პრიორიტეტულია ყველა საგნის მაღალ დონეზე სწავლება, ამასთან, სკოლის მისიის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას, რამაც კურსდამთავრებულს უნდა მისცეს შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს მის მიერ არჩეულ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების დამატებით მომზადებას საერთაშორისო გამოცდებისათვის და აფინანსებს მათ საერთაშორისო გამოცდაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გამორჩეული ყურადღება ეთმობა, ასევე, მათემატიკის სწავლებას, რაც მოსწავლეს უვითარებს ლოგიკურ აზროვნებას და აძლევს საჭირო ფუნდამენტს სხვადასხვა მიმართულებით წარმატების მისაღწევად. დამატებით, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შეეთავაზებათ ლოგიკის და წიგნიერების კურსი, გაზრდილი საათებით არის წარმოდგენილი სახელმწიფო ენის საგაკვეთილო საათები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საჭირო ფუნდამენტის ჩამოყალიბებას. სკოლის პროგრამა ყოველწლიურად ახლდება გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით. სტრატეგიული დაგეგმვის მომდევნო ეტაპზე, სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, სკოლა აქცენტს აკეთებს ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში საერთაშორისო დონეზე არსებული თანამედროვე მიღწევების გამოყენებას.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზზე, განსაზღვრავს სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე სტრატეგიული განვითარების მიზნებს და მათი მიღწევის საშუალებებს.

სტრატეგიული გეგმის შედგენის დროს ჯგუფი დაეფუძნა SWOT ანალიზს და სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა შემდეგი მიზნები: 1.სკოლის კურიკულუმის განვითარება; 2. ინფრასტრუქტურის განვითარება; 3. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება; 4. ინტერნაციონალიზაციის გაზრდა. თითოეულ მიზანს ახლავს პრეამბულა, რომლითაც განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა სასკოლო ცხოვრების განვითარების საქმეში. სტრატეგიული მიზნები ჩაშლილია ამოცანებად და 7 წელზეა გაწერილი.

წარმოდგენილი გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც 2023-2030 ს/წლების შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N01-37, 2023 წლის 01 სექტემბერს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. სკოლამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით (ანგარიშები, SWOT ანალიზი), გაითვალისწინა გამოწვევები და განვითარების ძირითად მიმართულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნების განსახორციელებლად განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რეალისტური აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული, ასევე, პროცესში ჩართული ადამიანური და ფინანსური რესურსი და კალენდარული ვადები აქტივობების შესასრულებლად. ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანები და აქტივობები რეალისტურია და მათი განხორციელება დავალებული აქვთ შესაბამისი კომპეტენციის პირებს, რომელთა მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ
- 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის -„სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა"
- 2023 წლის 05 მაისის დირექტორის ბრძანება N01-09 - სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფუს დამტკიცების შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა" (მუხლი 7) განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების წესები, რომლის თანახმად სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება ხორციელდება დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ შუალედურ/შემაჯამებელ ანგარიშში შესრულების შედეგები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცხრილის ფორმით თითოეული აქტივობისათვის სტატუსის მინიჭების სახით (შესრულდა/ვერ შესრულდა) ან/და ნარატივის სახით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პერიოდში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ - 6 თვის შემდეგ და წლის დასასრულს, რაც ფორმდება შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშის სახით. შესაძლებელია, განხორციელდეს სამოქმედო გეგმის შესრულების არაგეგმიური მონიტორინგიც. ამასთან, გრძელვადიანი სტრატეგიის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ ხორციელდება შეფასება, რამდენად უზრუნველყოფს დასახული სტრატეგია სკოლის მისიის და ხედვის მიღწევას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები საჯაროა და თავსდება სკოლის ვებგვერდზე. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

დასკვნის სახით: სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

როგორც უკვე აღინიშნა (1.2.2.1), სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პერიოდში მონიტორინგის და შეფასების განხორციელება წელიწადში ორჯერ, სწავლის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ და წლის დასასრულს, რაც ფორმდება შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშის სახით. შესაბამისად სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის შუალედური ანგარიში, რომელიც ატვირთულია ვებგვერდზე. დოკუმენტში წარმოდგენილია მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლები. ანგარიშის თანახმად სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი კურიკულუმების განვითარება სკოლაში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად მიმდინარეობდა, ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დაეფუძნა გამოცდილების ანალიზს, რის შედეგადაც დაიხვეწა საგნობრივი კურიკულუმები. სკოლაში ჩატარდა ასევე სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხით კმაყოფილების კვლევა (სკოლამ წარმოადგინა კვლევის დამადასტურებელი კითხვარები) რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი. აქვე აღნიშნულია, რომ სკოლაში განხორციელდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა (წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი გეგმა), სკოლის პერსონალისათვის სკოლაში ჩატარდა ტრენინგები/ვორქშოფები, მოწვეული მაღალკვალიფიციური ექსპერტ-კონსულტანტების ჩართულობით (ტრენინგების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია). საქმისწარმოების ელექტრონული სისატემის დანერგვის მიზნით, შეირჩა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია - სუს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების შესყიდვის შესახებ. მომზადდა შესაბამისი სერვერი და კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.
წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ანგარიშის სახით ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური (2023-2024) ანგარიში (1.2.2.2.) გამოყენებულ იქნა მომდევნო პერიოდის დაგეგმვის მიზნით, შესაბამისად, განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყო კომპლექსური თვითშეფასება. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლაში დაიხვეწა პერსონალის მართვის მექანიზმები, განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა/მექანიზმები; შემუშავდა ბიზნეს პროცესების აღმწერი დოკუმენტები; დამტკიცდა საჩივრების განხილვის წესი/სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნებს; აღიწერა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მასში ასახულია სკოლის გასული წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება; ასევე, ჩამოყალიბდა მოსწავლის კარიერული განვითარების მექანიზმი. სკოლამ უზრუნველყო შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასება; ასევე, დაწყებულია მუშაობა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სრულად გამართვის მიზნით.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დირექტორი 2023-2024 ს/წლის შუალედური ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია საშტატო ნუსხით და დებულებით, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორის ბრძანებით - „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და განსაზღვრავს სკოლის სტატუსს და საქმიანობის მიზნებს, ადგენს სკოლის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და სკოლის მართვასთან დაკავშირებულ ზოგად წესებს. სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს შემუშავებული დასაქმებულ ყველა პოზიციასთან დაკავშირებული შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო და 7 საგნობრივი დეპარტამენტი: სახელმწიფო ენის საგნობრივი დეპარტამენტი, უცხოური ენების საგნობრივი დეპარტამენტი, მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნობრივი დეპარტამენტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი დპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი დეპარტამენტი, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი დეპარტამენტი, დაწყებითი კლასების დეპარტამენტი. სკოლას ჰყავს, კლასის მრჩევლები/დამრიგებლები. საერთო ჯამში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (https://emis.ge) ამოღებული ამონაწერის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულები არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციული მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, ორგანიზაციული განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი, არაფორმალური განათლების კოორდინატორი, სამეურნეო მენეჯერი, 4 დიასახლისი (დამლაგებელი), 6 მზარეული, IT სპეციალისტი, ექთანი, 1 სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, მებაღე, ტექნიკოს ხელოსანი, 12 წრის ხელმძღვანელი, 5 დაცვა, ორგანიზაციული განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი. სკოლას საერთო ჯამში ჰყავს 64 მასწავლებელი, მათ შორის 41 უფროსი, 4 წამყვანი, 3 მენტორი, 5 მაძიებელი, 11 მოწვეული.

სკოლაში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი ექვემდებარება სკოლის დირექტორს და ანგარიშვალებულია მის წინაშე, ასევე, ანგარიშვალდებულია იმ თანამშრომლის წინაშე, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება სტრუქტურული სქემით. დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და სკოლის დებულებით.

სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ჩამოყალიბებულია, ისე, რომ ფუნქციებში ასახულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა აუცილებელი მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/თანამშრომელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

შპს - ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის დებულებაში, დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თითოეული სტრუქტურული რგოლის ჩართულობა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურა შეთანხმებულია და ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, რაც ასევე ნათელი გახდა ვიზიტის დროს მათთან კომუნიკაციით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ორგანიგრამა;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

როგორც უკვე აღინიშნა, შპს - ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის დებულებით, განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს დასაქმებული პერსონალის მართვას მათი უფლება-მოვალეობების მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია სკოლის მისიის, მიზნების და ორგანიზაციის ღირებულებების საფუძველზე. დოკუმენტი დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების“ და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მოთხოვნებზე. მასში ასახულია სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე გამოკვეთილი მოთხოვნები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის სრულ ციკლს:

- პერსონალის დაგეგმვა;
- პოზიციების შესაბამისი კადრების მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება;
- ახალი თანამშრომლების ორგანიზაციული ორიენტაცია და სამუშაო გარემოში ადაპტაცია;
- შრომითი ურთიერთობების რეგულირება;
- შრომის ანაზღაურება;
- ინდივიდუალურ შემთხვევებში მატერიალური წახალისება;
- თანამშრომელთა მხრიდან სამუშაო მოვალეობების მოვალეობების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების ან/და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების მიღება;
- თანამშრომელთა მუშაობის შეფასება;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
- თანამშორმელთა მოტივაცია და შრომითი კმაყოფილების მონიტორინგი;
- თანამშრომლობის დასრულების შემდეგ უკუგება და თანამშრომლობის შეწყვეტის წესი.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი პერსონალის მართვის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ ადამიანური რესურსების მართვა ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს. ეს გახლავთ: გამჭვირვალობა, სამართლიანობა, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ასევე, სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებს შორის თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა, ფიზიკურად და ემოციონალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლაში აღიარებულია და დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც ასევე სკოლის შინაგანაწესითაც არის განსაზღვრული. სკოლის თანამშრომლებს აქვთ დისკრიმინიაციისაგან თავისუფალ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა. სკოლაში დაცულია ადამიანის პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი წესი და რომლის თანახმად დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს მკაცრად კონტროლდება პროცესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - მონაცემები მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შიდასასკოლო წესით, სამართლიანად და კანონიერად, მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის. თანამშრომლები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ამ მიზნით, სკოლის იურისტი დასაქმებულს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი უფლებების შესახებ, მათ შორის, იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას ან/და მესამე პირზე გადაცემა ხორციელდება მხოლოდ თანამშრომლის თანხმობით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სკოლა უზრუნველყოფს შრომის ისეთ პირობებს, რომელიც შეესაბამება უსაფრთხო შრომის სტანდარტებს.

სკოლა ორიენტირებულია თანამშრომლებს შორის ურთიერთმხარდაჭერის განვითარებაზე, მთავარი ამოცანაა, თანამშრომლობა ეფუძნებოდეს ერთმანეთის ნდობას, თანამშრომლებს ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა, სკოლის წარმატება გაიზიარონ როგორც თითოეული მათგანის წარმატება, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრთან თანამშორმელს ჰქონდეს პარტნიორული დამოკიდებულება, მენეჯმენტსა და გუნდის წევრებს შორის იყოს ღია დიალოგი. თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სკოლაში შემუშავებული და დანერგილია მექანიზმები, რაც გულისხმობს: თანამშრომლების ჩართვა სამუშაო ჯგუფებში, კომისიებში და სხვადასხვა თემატურ პროექტებში; შიდა კვლევების ორგანიზება თანამშრომელთა გამოკითხვის და მათი აზრის გათვალისწინების მიზნით, სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლის დირექტორსა და დასაქმებულებს შორის უკუკავშირი ნდობაზე დაფუძნებულია და სკოლის ორგანიზაციული კულტურის აუცილებელი მახასიათებელია. კონსტრუქციული უკუკავშირი ხელს უწყობს ნაკლოვანებების აღმოფხვრას და დადებით ცვლილებებს, ახდენს შესაძლო არასასურველი შედეგებისა და კონფლიქტების პრევენციას.

სკოლამ წარმოადგინა ასევე პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია, პროცედურა და ადმინისტრირების მექანიზმები, რომელიც შემუშავებულია სკოლის ორგანიზაციული კულტურის, ორგანიზაციული მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პერსონალის შეფასების მიზნები, კერძოდ: პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება; ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, მათი პრევენციის მიზნით; პერსონალის ჩართულობა და კონტრიბუციის მაღალი ხარისხი სკოლის მიზნების შესრულებაში; შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; თანამშრომელთა განვითარების საჭიროების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; კარიერის განვითარების დაგეგმვა და შრომითი მოტივაციის და სამუშაოთი კმაყოფილების ზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე სკოლის შინაგანაწესისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა აწარმოებს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან/და მათზე რეაგირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციური კადრების დეფიციტის პირობებში, სკოლის მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ხდება ძლიერი ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომელთა მოტივაციის ისეთი მექანიზმების დანერგვა როგორიცაა: კონკურენტური შრომის ანაზღაურების სისტემის შეთავაზება - ბიუჯეტის დაგეგმვისა და პერსონალის სახელფასო განაკვეთების განსაზღვრის დროს, სკოლა უზრუნველყოფს ღირსეული სახელფასო და პოლიტიკის დაგეგმვას, რისთვისაც პერიოდულად ატარებს კვლევებს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების გაცნობის მიზნით; სრულფასოვანი კვების სერვისის და კორპორატიული სადაზღვევო პაკეტის შეთავაზება; პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შეთავაზება: ტრენინგები, თემატური სასწავლო კურსები, ვორქშოფები; პერსონალის სწავლა-განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს შეთავაზება, როგორიცაა კეთილმოწყობილი სასწავლო და საერთო გამოყენების სივრცეები, თანამედროვე ტექნიკა.

კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა პრევენციული მიზნით სკოლაში შემუშავებულია - სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი (შინაგანაწესი მუხლი 25), რომლის თანახმად საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის გაუარესების, მძიმე ოჯახური გარემოებების ან სხვა) სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია, გონივრულ ვადებში განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს დროებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო საგანგებო სიტუაციაში აცნობოს ადმინისტრაციას, არაუგვიანეს ერთი საათისა, სამუშაოს დაწყებამდე. შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოიყენოს დისციპლინური ზომა. სამსახურში გამოცხადების შემდეგ, თანამშრომელი ვალდებულია, აანაზღაუროს გაცდენილი სამუშაო დრო ადმინისტრაციასთან შეთანხმებული გრაფიკით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს წინასწარი შეთანხმება კონკრეტულ პირთან, მის ნაცვლად სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ამსახველი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მექანიზმები, რომლის შესწავლით, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორიენტირებულია შემოქმედებითი, კრეატიული, საკუთარი საქმის პროფესიონალი და განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანების მოზიდვაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირება. სკოლაში მოქმედებს გამჭვირვალე რეკრუტინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემა, რომელიც მოიცავს პოზიციის მახასიათებლების დადგენას, თანამშრომელთა მოზიდვის არხებს და მექანიზმებს, პერსონალის შერჩევას და დანიშვნას.

პერსონალის შერჩევის პროცესში ჩართულია შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული უშუალო ხელმძღვანელი. სკოლას დიფერენცირებული აქვს პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის არხები. მასწავლებლების შერჩევის პროცესში სკოლა აქტიურად იყენებს teacherjobs.ge პლატფორმას, როგორც საკითხის საკანონმდებლო რეგულირების, ისე ინფორმაციის ფართო სამიზნე ჯგუფისათვის მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით. სხვა პოზიციებისათვის სკოლა ცდილობს სხვადასხვა საშუალებით მოიძიოს ინფორმაცია პოზიციისათვის შესატყვისი კადრების შერჩევის მიზნით. მათ შორის, რეკომენდაციით, სოციალურ ქსელში/სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებით, პირადი არხებით, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, დასაქმების გვერდზე ინფორმაციის განთავსებით.

სკოლა ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, პირველ რიგში განიხილავს შიდა დაწინაურების საკითხს. თანამდებობაზე, რომელიც მიზანშეწონილია დაკომპლექტდეს შიდა რესურსებით, სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს უკვე არსებულ რესურსს. გარე საკონკურსო პროცედურა, იმ შემთხვევაში თუ ვაკანტური პოზიციის შევსება არ/ვერ ხდება შიდა რესურსით ან სხვა საშუალებებით, კონკურსი ცხადდება სკოლის გარეთ.

ახალი კადრების აყვანის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი ახორციელებს შემოსული განცხადებების გადარჩევას მინიმალური ფორმალური მოთხოვნების გათვალისწინებით და გადარჩეულ კანდიდატებს განსახილველად წარუდგენს სკოლის დირექტორს და პოზიციისათვის განსაზღვრულ უშუალო ხელმძღვანელს. კონკრეტული პოზიციებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევის პროცესში გამოიყენება ინტერვიუს სხვადასხვა ტექნიკები და მეთოდები, ან სპეციალური შერჩევის ინსტრუმენტები კანდიდატის ცოდნის, პიროვნული და პროფესიული უნარების შეფასების მიზნით.

სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევის პროცესში სკოლა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ მოთხოვნებს. სკოლაში კანდიდატთა კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელშიც გარდა სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისა, შედიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ტერიტორიული ორგანოს - ბათუმის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენელი და საკითხის გადასაწყვეტად, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულობის აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე. ასევე იმ დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად/სკოლის ექთნად მუშაობის უფლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტში აღწერილია ასევე მასწავლებლის სამუშაოზე აყვანის წესი, რომლის თანახმად სკოლაში მასწავლებლის სამუშაოზე აყვანა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ-ით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის" შესაბამისად. სპეციალური მასწავლებლის სამუშაოზე აყვანა ხორციელდება შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში და მასთან შეიძლება გაფორმდეს: ა) პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; ბ) უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; გ) წამყვანი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით შრომითი ხელშეკრულებების დადებისას გაითვალისწინება მასწავლებლისთვის და სპეციალური მასწავლებლისთვის ფუნქციური დატვირთვის და უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულებები, ასევე, შრომის ანაზღაურების პირობები. დასაქმების შეზღუდვა სკოლაში დასაქმების მსურველთათვის მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, კერძოდ, სკოლაში არ შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელიც: ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხნილი არ აქვს ნასამართლობა; რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული აქვს პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; რომელიც ნასამართლევია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს პერსონალის მართვის პოლიტიკის ნაწილს. მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება მოთხოვნების სრული დაცვით. გამონაკლისს წარმოადგენს მოწვეული/დროებით შემცვლელი მასწავლებელი, დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში ჩართული პერსონალი. ასევე, კონკურსის წესით შერჩეულია სკოლის სკოლის ექთანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის დასაქმებული პერსონალის, მათ შორის ყველა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი დეპარტამენტების ასევე სხვადასხვა მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმებიდან, ასევე მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია მონაწილეობით და გუნდურ მუშაობაზე. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობითი ატმოსფეროს და მონაწილეობითი ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას, რაც ხელს უწყობს სკოლის განვითარებას. საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან გასაუბრების და ასევე წარმოდგენილი ოქმების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ ისინი აქტიურად განიხილავენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. გუნდის შეკვრის მიზნით, სკოლაში პერიოდულად ეწყობა კორპორატიული ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესით და ასევე პერსონალის მართვის დოკუმენტით განსაზღვრულია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების წახალისების მექანიზმები. კერძოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, დასაქმებულის კეთილსინდისიერების, ასევე, ინოვაციური წინადადებებისთვის, განსაკუთრებული სირთულის და/ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, შინაგანი მოტივაციისათვის სკოლაში გამოიყენება: მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა თანამშრომელთა ჩართულობა - მონაწილეობითი მენეჯმენტი, კვლევების შედეგად ინფორმაციის მიღება თანამშრომლის მოსაზრებების შესახებ, ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კორპორატიულ ღონისძიებებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარების ღონისძიებების შეთავაზება - ტრენინგების/ვორქშოფების შეთავაზება, სკოლის დაფინანსებით კვალიფიკაციის ამაღლება. გარეგანი მოტივაციისათვის სკოლა თანამშრომლებს უზრუნველყოფს: კონკურენტული ანაზღაურებით, ფასიანი საჩუქრით, ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიული პაკეტით, სადაზღვეო პრემიის სკოლის ბიუჯეტიდან ანაზღაურებით, სრულფასოვანი კვებით სამუშაო დღის მანძილზე. სკოლაში დასაქმებული პერსონალისათვის, თუ მისი ოჯახის წევრი მოსწავლე ჩარიცხულია სკოლაში, სარგებლობს სწავლის საფასურზე 50%-იანი ფასდაკლებით.

წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი უშუალოდ ან შესაბამისი თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელის წარდგინებით. გარდა ამისა, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომლის საშუალებითაც აზიარებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს, იქნება ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა პროგრამებსა თუ კონკურსებში მონაწილეობა, ტრენინგების წარმატებით გავლა, მასწავლებლის შემთხვევაში სტატუსის ამაღლება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის და პროცედურების დოკუმენტი
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება
- სამუშაო ჯგუფების მუშაობის ამსახველი ოქმები
- პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსების მასალები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია, პროცედურა და ადმინისტრირების მექანიზმები, რომელიც შემუშავებულია სკოლის ორგანიზაციული კულტურის, ორგანიზაციული მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პერსონალის შეფასების მიზნები, კერძოდ: პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება; ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, მათი პრევენციის მიზნით; პერსონალის ჩართულობა და კონტრიბუციის მაღალი ხარისხი სკოლის მიზნების შესრულებაში; შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა, თანამშრომელთა განვითარების საჭიროების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; კარიერის განვითარების დაგეგმვა და შრომითი მოტივაციის და სამუშაოთი კმაყოფილების ზრდა.

მეთოდოლოგიის თანახმად, როგორც ადმინისტრაციული, ისე მასწავლებლის პოზიციებისათვის გათვალისწინებულია მუშაობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმი. წამყვანი და მენტორი მასწავლებლების საქმიანობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ასევე „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული დამატებითი ფუნქციები, რაც ასახულია შესაბამისი პერსონალის შრომით ხელშეკრულებებშიც.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. მასში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი მიდგომები, პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები, გაანალიზებულია სკოლაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების, უკუკავშირის მიცემისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვის მექანიზმები.

ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის მიზანია თანამშრომელთა საქმიანობის შესრულების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების საქმიანობის შეფასების პროცესი ხორციელდება სამუშაო მიზნების/ამოცანების, თანამშრომელთა ფუნქციების, კომპეტენციების და დარგობრივი ცოდნის გათვალისწინებით.

მუშაობის პროცესი მოიცავს თვითშეფასებას და თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასებას. პროფესიული განვითარების მიზანია, თანამშრომელთა კომპეტენციების, ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გაზრდა, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება როგორც სკოლის შიდა რესურსებით (თანამშრომლებს შორის გამოცდილების ურთიერთ-გაზიარება), ასევე, თუ შესაბამისი აუცილებლობა იკვეთება, სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალისტების მოწვევას ან თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებაში მონაწილეობას. გარდა დაგეგმილი პროცესების შეფასებისა, რიგგარეშე შეფასება შეიძლება განხორციელდეს თუ ამისი აუცილებლობა წარმოჩინდა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით (მაგალითად, თუ მშობელს/სხვა დაინტერესებულ პირს აქვს პრეტენზია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ან თუ კონკრეტულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი სკოლაში ახლადდასაქმებულია და ა.შ.).
კონკრეტულ პროცესში ჩართულ პირებს პროცესის შეფასების შესახებ ეცნობებათ წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისში. იგი ვალდებულია, ხელი შეუწყოს შემფასებელს დაგეგმილი ამოცანების შესრულებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის დირექციის განმარტებით და ასევე წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ ირკვევა, რომ როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული თანამშრომლების საქმიანობის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას და შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებაში. ამ მიზნით, სკოლა პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს ტრენერების მოწვევას, განისაზღვრება პროფესიული ლიტერატურა, რაც უნდა დამუშავდეს და ა.შ. ანაზღაურებადია სამუშაო საათებში პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარება და წარმოადგინა შესაბამისი განვითარების გეგმაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი ატმოსფერო და დამკვიდრებულია ორგანიზაციულ/ მონაწილეობითი კულტურა, რაც ხელს უწყობს როგორც მთელი სკოლის განვითარებას, ასევე ყველა კონკრეტული თანამშრომლის განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით, გაირკვა, სკოლა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას აძლევს მათ და ეხმარებათ სტატუსის ამაღლებაში. პროფესიული ზრდის და გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ წარმატებულ გაკვეთილებს, აანალიზებენ გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს და განმავითარებელ შეფასებას. ისინი წარმატებით გამოდიან კონფერენციებზე, იმარჯვებენ კონკურსებში. სკოლის ზრუნვას პერსონალის მიმართ მოწმობს ისიც, რომ ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში, სკოლა პირველ რიგში განიხილავს შიდა დაწინაურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხს, კერძოდ თანამდებობაზე, რომელიც მიზანშეწონილია დაკომპლექტდეს შიდა რესურსებით, სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს უკვე არსებულ რესურსს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს პერსონალის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ამ მიზნით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე მათ აცნობენ სამუშაო მოვალეობებს და სკოლაში მოქმედ წესებს. სამეურნეო მენეჯერი, მისი ვალდებულების ფარგლებში, გადასცემს თანამშრომელს სამუშაო ტექნიკას/მოწყობილობებს და ინვენტარს (სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით). თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრული უშუალო ხელმძღვანელი პირადად იღებს პასუხისმგებლობა თანამშრომლისათვის სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალის გაცნობაზე. სკოლის დებულებით იდენტიფიცირებულია, თუ რომელი თანამშრომელი ვისთან არის ანგარიშვალდებული. შესაბამისად, სამუშაო შეხვედრის ფორმატში ისინი ერთობლივად განიხილავენ შესასრულებელი ამოცანებს. დროული უკუკავშირის მიწოდების მიზნით ახალი თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი პირველ ეტაპზე მეტი ინტენსივობით ადევნებს თვალს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შეცდომების დაშვების ალბათობას და ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის პროფესიული უნარების განვითარებას.

საგნობრივ დეპარტამენტებში ასევე ხორციელდება ახალბედა მასწავლებლის მხარდაჭერა. მის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ შესაბამისი საგნობრივი დეპარტამენტები და მათი ხელმძღვანელები. ახალი მასწავლებელი ეცნობა სასკოლო სასწავლო გეგმას, სამოქმედო გეგმას და რაც მთავარია მის უფლება-მოვალეობებთან ერთად სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასვე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დელეგირებულია თანამშრომელთა უფლება/მოვალეობები, შინაგანაწესში და პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურ წარმართვას. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და პატივს სცემენ კოლეგების აზრს. სკოლაში წახალისებულია მათი ინიციატივები, რაც საქმინობისათვის ნდობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის. სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სკოლის პერსონალის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც დაგეგმილია, მათი საჭიროების გათვალისწინებით ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლის თანამშრომელთა ცნობები/სერტიფიკატებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლებს დაესწრონ მათთვის საინტერესო და სასურველ ტრენინგებს. ასევე, პერსონალის განვითარების წახალისებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ემსახურება სკოლის შინაგანაწესით გაწერილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებიც. შესაბამისად, ინდიკატორი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- მასწავლებელთა სტატუსის ამაღლების მაჩვენებლები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, წესებისა და პროცედურების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების წესები. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ორგანიზაციულ ღირებულებებს, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს“. პოლიტიკა ფარავს სკოლის საქმიანობის ყველა მიმართულებას და შესაბამისობაშია სკოლის დებულებასთან, სხვადასხვა პროცესის მომწესრიგებელ შიდა რეგულაციებთან, სფეროს აპრობირებულ პრაქტიკასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია დემინგის ხარისხის მართვის მოდელზე (PDCA). შესაბამისად, დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას აქვს უწყვეტი ციკლის სახე და მიზნად ისახავს სკოლაში ხარისხის კულტურის ამაღლებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა იყენებს შემდეგ მიდგომებს და მექანიზმებს:

- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება;
- კურიკულუმის შემუშავება და უწყვეტი განვითარება;
- თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და უკუკავშირის მიცემა, პროფესიული განვითარების დაგეგმვა;
- კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან;
- სკოლის დონეზე თვითშეფასება, განვითარების დაგეგმვა;
- ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციების - მარეგულირებელი დოკუმენტები, შესაბამისი ნორმები, პროცედურები და ინსტრუმენტები, მათი შემუშავება და გამოყენება, პერიოდული დახვეწა;
- ხარისხის მექანიზმების შეფასება და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შეხვედრების ოქმები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების აქტები) დგინდება, რომ სკოლაში რეგულარული შეხვედრები ეწყობა მენეჯმენტის, სამუშაო ჯგუფების საგნობრივი დეპარტამენტების დონეზე. ინტენსიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრება და ანალიზი.

სხვადასხვა პროცესის შეფასების მიზნით, სკოლა სწავლობს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების კმაყოფილებას, რისთვისაც შემუშავებულია: მშობლების/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების კმაყოფილების კვლევის კითხვარი, თანამშრომელთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი, მოსწავლეთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითვხარი. კითხვარების გაანალიზების შედეგებს სკოლა იყენებს სამომავლო ახალი სერვისების დასანერგად თუ არსებულის გასუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, საქმიანობის ხარისხის განვითარების მიზნით სკოლა იყენებს გარეშეფასების შედეგებს (რეავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებები), ასევე, იგეგმება, განავითარონ გარეშეფასების პრაქტიკა - პარტნიორი სკოლიდან/სკოლებიდან მოწვეული სპეციალისტების ან/და დამოუკიდებელი ექსპერტების/სპეციალისტების შეფასება. პროცესში მიღებული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
სკოლაში შემუშავებულია ასევე სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომის გაუმჯობესების მექანიზმები, რომლის თანახმად სკოლაში მუდმივად წარმოებს სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი გარკვეულწილად ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძრითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის დებულებით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომლითაც გაწერილია სკოლის პერსონალის და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლაში შემუშავებული რეგულაციები ფარავს ყველა პროცესს. ამასთან, ეფექტიანობის გაზრდისათვის სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა პროცესების დიაგრამებზე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. მათ შორისაა - მუხლი IV. გასაჩივრების წესი და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლამ ასევე წარმოადგიანა დირექტორის ბრძანება №01-45 შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლაში“ საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ. წესის თანახმად სკოლა ვალდებულებას იღებს, აღნიშნული წესი, ასევე მასში შესული ცვლილებები გააცნოს სასკოლო საზოგადოებას (სკოლის პერსონალი, მოსწავლე, მშობელი), სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით. ამ მიზნით სკოლაში დასაქმების (ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ) სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი, მის სამუშაო ამოცანებთან დაკავშირებულ სხვა სასკოლო რეგულაციებთან ერთად, სკოლის პერსონალს აცნობს აღნიშნულ წესს, ასევე, სკოლაში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მასში შესული ცვლილებების გაცნობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის მრჩევლები (დამრიგებლები) უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის წესის გაცნობას (მათი ასაკის შესაბამისად გასაგებად), ასევე, ინფორმაციას აწვდიან მოსწავლის მშობლებს. სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ბავშვისათვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სკოლაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში, ასევე, მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში - ერთი კვირის ვადაში. ფსიქოლოგი ასევე ახორციელებს მოსწავლის ადვოკატირებას, წინამდებარე წესით გათვალისწინებულ ფარგლებში, ხოლო სკოლის იურისტი, საჭიროების შემთხვევაში უწევს დამატებით კონსულტაციებს მოსწავლეს, მშობელს და სკოლის პერსონალს წესით გათვალისწინებულ პროცედურებთან დაკავშირებით. სკოლის დებულების თანახმად, იურისტი ვალდებულია, მიმართვის შემთხვევაში გაუწიოს ობიექტური და მიუკერძოებელი კონსულტაცია სკოლის პერსონალს, მოსწავლეებს და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს, მათ შორის, თუ საკითხი ეხება ბავშვის უფლების სავარაუდო დარღვევას, მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს აწვდის ინფორმაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დანერგილი სერვისების შესახებ.
დოკუმენტით განსაზღვრულია საჩივრის განხილვის და საჭიროების შემთხვევაში, საკითხის განმხილველი კომისიის ფორმირების წესიც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესით გაწერილია ასევე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება-მოვალეობების და შიდასასკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. პერსონალისა და მშობლების/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლაში შემუშავებული საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები.
ინიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- საჩივრის განხილვის წესი
- სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ჩატარებული მონიტორინგების ანგარიშები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის - საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი არეგულირებს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, კომუნიკაციის წარმართვის საკითხებს და სკოლის ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს.

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სკოლა კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების მეშვეობით (ელ-ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, გამოკითხვები) მიღებულ უკუკავშირს იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზს. ანალიზს წარმართავს სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სკოლის თანამშრომლის/თანამშრომლების ჩართულობით (მათი კომპეტენციის სფეროს გათვალისწინებით). სკოლაში დადგენილი პერიოდულობით უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვები, შესაბამისად შექმნილი კითხვარების საშუალებით. სკოლა მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას.

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის მოქმედება ვრცელდება სასკოლო საზოგადოების ყველა პირზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი დეპარტამენტები (რომელიც აერთიანებს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს), აკადემიური საბჭო, რომელიც ასევე მასწავლებლების წარმომომადგენლობითი, კოლეგიური ორგანოა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შესაბამისად პერიოდულად იქმნება სამუშაო ჯგუფები, დღის წესრიგში მდგარი სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში ჩართულნი არიან ასევე მოსწავლეთა მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები. ინდიკატორის **მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
- სკოლის დებულება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციუონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით შექმნილია 24-საათიანი დაცვის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, რომელსაც ექვემდებარება 5 დაცვის თანამშრომელი. დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია ასევე უსაფრთხოებაზე უფლებამოსილ პირად (N06/ნ ბრძანების შესაბამისად) და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად, თუ ბავშვი გოგონაა, ამავე წესის მიხედვით განსაზღვრულია ადმინისტრაციის ქალი თანამშრომელი.

სკოლის ეზო დაცულია ღობით, უცხო პირები სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ წინასწარ შეთანხმებით. სკოლაში ხორციელდება ვიზიტორთა აღრიცხვა, დადგენილი წესის შესაბამისად, რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდშიც. სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად არის აღჭურვილი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით (87 მათ შორის, შიდა - 56, გარე - 32) და გამოყოფილია სივრცე სადაც განთავსებულია მონიტორები.

სკოლის ტერიტორიაზე დაშვება ხდება მაღალტექნოლოგიური ტურნიკეტებისა და პლასტიკური ბარათების მეშვეობით. შენობა აღჭურვილია სახანძრო-უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, ყველა სივრცეში დამონტაჟებულია ჰაერის დეტექტორები. სკოლას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესი, ასევე ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, ხოლო საბუნებისმეტყველო კაბინეტში დამონტაჟებულია ამწოვი კარადა და გამოკრულია უსაფრთხოების წესები.

სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და სრულად არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი და გამოცხადებული აქვს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, რის მტკიცებულებად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ამონაბეჭდი teacherjobs.ge-ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გვერდიდან. ექთანი დადგენილი წესით ახდენს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას. ექთნის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში.

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაცების მართვის გეგმა, რომელიც შესაბამის ორგანოსთან (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი) არის შეთანხმებული და შექმნილია საგანგებო შტაბიც. ამასთან, სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის (აყვანილია აუთსორსინგით) სამუშაო გეგმა ითვალისწინებს პერსონალისათვის პერიოდული სწავლების ორგანიზებას საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებთან დაკავშირებით.

სკოლას აქვს შენობაში გამოკრული საევაკუაციო გეგმები და შესაბამის ადგილებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები.

სკოლამ სახანძრო უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით, წარმოადგინა ხელშეკრულება (NT16/03) მომსახურების შესახებ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელიც გულისხმობს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებას -500 მ -ზე მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შესაბამისი წინადადებების მომზადებას. სკოლამ წარმოადგინა ასევე გაწეული მომსახურებისთვის შესაბამისი თანხის გადახდის ქვითარი და შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგრადობის შესახებ საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად ყველა შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უზრუნველყოფილია მათი მდგრადობა, მათი საერთო მდგომარეობა, სიმტკიცე და უსაფრთხო ექსპლუატაცია.

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შრომის ისეთ პირობებს, რომელიც შეესაბამება უსაფრთხო შრომის სტანდარტებს. სკოლის კვების ბლოკში დანერგილია HACCP სისტემა და ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წესი შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და ადგენს შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლამ წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან N1766268 კორესპოდენციით შემოსული წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

სკოლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები რეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება (სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ანგარიშები).

სკოლას სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი და განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის მრჩევლების (დამრიგებლების) მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მდგომარეობის პირველად მართვას, ისე საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ნაწილში რეკომენდაციების შემუშავებას და გაზიარებას სკოლის პერსონალისათვის. იგი ეხმარება მოსწავლეებს ადაპტაციაში, და აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, მუშაობს მოსწავლეთა მოტივაციაზე, წარმატებისკენ სწრაფვაზე. სწარაფად და დროულად რეაგირებს მოსწავლის ემოციურ ინტელექტუალურ ან ქცევითი დარღვევის დროს გამოწვეულ პრობლემებზე.

სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, სპორტული მოედნები, დიდი სპორტული დარბაზი, ასევე შიდა და გარე რეკრეაციული სივრცეები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, რომლებიც გამოფენილია საკლასო ოთახებში და დერეფნებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნებულობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 5 დიასახლისი (დამლაგებელი), რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. მათი სამუშაო აღწერილობისა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნორმების დაცვის წესებს, განსაზღვრულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალურად დასუფთავების პერიოდულობა და წესი. სკოლის ექთანი, თავის ვალდებულების ფარგლებში, ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყოველდღიურ ზედამხედველობას. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების შიდასასკოლო წესს. სკოლა ორიენტირებულია, შექმნას გარემო, სადაც დაცულია ადამიანის პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალისათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, წესების გაცნობის მიზნით. დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების დაცვის წესები, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში და სხვა.

აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტისა და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ადგენს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვისათვის წესებს, განსაზღვრულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობები ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით. წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების და სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. ასევე წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში- Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და შეფასება. დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს მკაცრად კონტროლდება პროცესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - მონაცემები მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული შიდა სასკოლო წესით, სამართლიანად და კანონიერად, მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის. თანამშრომლები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ამ მიზნით, სკოლის იურისტი დასაქმებულს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი უფლებების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ექთნის ხელშეკრულება
- სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- ხელშეკრულებები ტექნიკურ პერსონალთან
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პოლიტიკის დოკუმენტი
- სახანძრო უსაფრთხოების წესი
- ხელშეკრულება (NT16/03) მომსახურების შესახებ -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან
- საექსპერტო დასკვნა შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგრადობის შესახებ
- საგანგებო მართვის გეგმა
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის მექანიზმების დოკუმენტი
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

საჯარო რეესტრის ამონაწერის, აზომვითი ნახაზების და ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამედროვე კამპუსის ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული ზონები განთავსებულია 13000 კვ.მ. ფართობზე. სკოლას არსებული ფართი აღებული აქვს იჯარის ხელშეკრულებით (მესაკუთრე შპს ვი თი ჯგუფი), ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე შენობა: შენობა N1 (ძირითადი სასწავლო კამპუსი), შენობა N2 (სააქტო დარბაზი), შენობა N3 (ბიბლიოთეკა და დაცვის შენობა), შენობა N4 (საერთო საცხოვრებელი, კლასები, წრეები), შენობა N5 (დახურული სპორტული დარბაზის და კვების ბლოკი).

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საკლასო ოთახები (39) აღჭურვილია საგანმანათლებლო სფეროსთვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით (სმარტბორდებით, პროექტორებით). სკოლას აქვს ბიბლიოთეკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამკითხველო დარბაზითა და განახლებადი წიგნადი ფონდით; ისტის ლაბორატორია (18 კომპიუტერით), სააქტო დარბაზი გათვლილი 165 დამსწრეზე; საერთო საცხოვრებელი - გათვლილი 100 ადამიანზე (გათვალისწინებულია საზაფხულო სკოლისთვის და სკოლის სტუმრებისთვის), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების შესწავლა მიმდინარეობს დარგობრივ სასწავლო ლაბორატორიაში, როგორც არსებული მატერიალური რესურსით, ასევე გამოიყენება ვირტუალურ-რეალური ლაბორატორია. ლაბორატორიების ეფექტურად გამოყენების მიზნით შემუშავებულია ლაბორატორიის კაბინეტების ფუნქციონირების ცხრილი. სკოლას აქვს ასევე სამედიცინო კაბინეტი, კვების ბლოკი 2 სივრცით და ადმინისტრაციული კაბინეტები.

სკოლის ტერიტორიაზე განლაგებულია ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის მრავალფუნქციური ღია სპორტული მოედანი, ევროსტანდარტების შესაბამისი დახურული სპორტული დარბაზი.

სკოლაში ირიცხება 515 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით. სკოლის საერთო ბალანსზე ირიცხება 790 მერხი და სკამი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის (700) გათვალისწინებით;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლამ წარმოადგინა შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად სკოლის სამეურნეო მენეჯერი ორგანიზებას უწევს სკოლის საქმიანობის განსახორციელებლად შესასყიდი მატერიალური რესურსის დადგენას, შესყიდვას და სკოლის თანამშრომლების შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფას.

წესის თანახმად, რაც დაგვიდასტურა თავად სამეურნეო მენეჯერმა და სკოლის წარმომადგენლებმა, სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს სკოლის რესურსებით თანაბარი (საქმიანობის შესაბამისად) გამოყენების უფლება და პასუხისმგებელია გადაცემული მატერიალური რესურსების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებასა და სწორ ექსპლუატაციაზე. შესაბამისად ისინი თავისუფლად სარგებლობენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და უფასო ინტერნეტით. როგორც უკვე აღინიშნა (3.5.1.1) სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომლის გამოყენების წესები რეგულირდება სკოლის დებულებით. სკოლის მოსწავლეებსა და პერსონალს უფლება აქვთ, თავისუფლად ისარგებლონ სკოლის სარეკრეაციო სივრცეებით.

სკოლის ინფრასტრუქტურის შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად და შედეგები გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების, პერსონალის და სკოლაში ვიზიტით მყოფი ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფილია თავისუფალი გადაადგილება და სკოლის ადაპტირებული რესურსებით სარგებლობა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
სკოლის შესასვლელით შეუძლია ისარგებლოს ეტლით მოსარგებლე პირმა. სართულებზე გადაასადგილებლად დამონტაჟებულია პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
შენობის ინფრასტრუქტურა: დერეფნები, სააქტო დარბაზი, წრეების სივრცეები, რეკრეაციული სივრცეები, ღია და დახურული სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს აქთ შესაძლებლობა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში გარდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა, ეწყობა ექსტრაკურიკულარული აქტივობები, სპექტაკლები, თემატური ფილმების ჩვენება, საზაფხულო სკოლები და ა.შ.,
ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო და დამატებითი მომსახურების მისაწოდებლად (სპორტული, სახელოვნებო და ა.შ.) სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის ფონდი შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. მასში განთავსებულია სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ინახება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა - საერთო ჯამში 1489 წიგნადი ერთეული. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და გამოკრულია სარგებლობის ერთიანი წესი. წიგნადი ფონდისთვის შემუშავებულია ანბანური კატალოგი და ელექტრონული ვერსია ჩატვირთულია კომპიუტერში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და ლეპტოპები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ვებ გვერდზე ატვირთულია შესაბამისი გვერდი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიები (მატერიალური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვირტუალურ-რეალური), სპორტული ინვენტარი, სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის და სასწავლო პროცესის წარსამართად აუცილებელი ყველა სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. სკოლის ბალანსზე არის 50 კომპიუტერი, სკოლის შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტ-კავშირით. კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებლების მიერ სკოლის ადმინისტრირების/სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით. ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესის მიზნებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია - 18 კომპიუტერი, ასევე 51 პროექტორი, 49 პროექტორის დაფა, 75 მონიტორი, 84 პროცესორი, 84 დინამიკი, 79 კლავიატურა, 13 პრინტერი, 8 პრინტერი იმავდროულად სკანირების ფუნქციით, 3 ფერადი პრინტერი, 5 ტელევიზორი, 14 ჭკვიანი დაფა, 13 ნოუთბუკი.

არსებულ რესურსს, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, როგორც თანამედროვე სწავლების მთავარ რესურს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, ყველა საკლასო ოთახში, ასევე, სამასწავლებლოში/კათედრების სამუშაო სივრცეში, ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში. სკოლას შემუშავებული აქვს წესები ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დანიშნულებით და უსაფრთხოდ გამოყენებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის აქტი
- ინტერნეტით მომსახურების ხელშეკრულება
- სკოლის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 01-08. არსებული წესი განსაზღვრავს სკოლაში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე, განცხადებებზე, წერილებზე, ბრძანებებზე და ა.შ მუშაობის წესს. წესის მიზანია, სკოლის დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება. დოკუმენტის შედგენის ან შესრულების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლის ყველა თანამშრომელი, ყოველმხრივ შეჯერებული გადაწყვეტილების მისაღებად, ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს იმ პასუხისმგებელ პირს და სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თანამდებობრივად ან საქმიანობის მიხედვით, დაკავშირებულია აღნიშნულ საკითხთან.

სკოლაში ელექტრონული სახით იწარმოება და აღირიცხება შემდეგი კატეგორიის დოკუმენტები:

ა) სკოლის დირექტორის ბრძანებები;

ბ) შემოსული კორესპოდენცია;

გ) გასული კორესპოდენცია.

სკოლაში მატერიალური სახით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტები:

ა) სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები და მემორანდუმები;

ბ) კოლეგიური ორგანოების საქმიანობის ამსახველი ოქმები.

საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული მენეჯერს. იგი პასუხისმგებელია სკოლაში მიმდინარე დოკუმენტბრუნვის ორგანიზებაზე, წარმოებასა და შენახვაზე. იგი ასევე, ხელს უწყობს სკოლის დირექტორს ყოველდღიურად წარმოქმნილი საჭიროებების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის შეხვედრების დაგეგმვასა და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში. სკოლის ,,საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს სკოლის კორესპონდენციის და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოებას, დახარისხებას და შენახვას, ამზადებს სხვადასხვა სახის საქმიანი კორესპონდენციის პროექტებს, მუშაობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, აწარმოებს თანამშრომლების პირად საქმეებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, ინახავს მოსწავლეთა პირად საქმეებს, სისტემატიურად ამოწმებს სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას და დროულად რეაგირებს შემოსულ კორესპოდენციაზე, უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმებას, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში შემოსულ გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას, ვებგვერდს და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციული მენეჯერის შრომითი ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ერთიანი ელექტრონული სისტემა
- Eflow-ს მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ვებგვერდს http://gasb.edu.ge, ასევე სკოლის სოციალური ქსელის გვერდს https://www.facebook.com/gasbatumi, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სკოლას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ელექტრონულ ფოსტა info@gasb.edu.ge და ელექტრონული ჟურნალი, https://gasb.edupage.org/. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით. სკოლის ვებგვერდზე, facebook გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლის მიზანია, სკოლის ვებგვერდის, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ეფექტური ურთიერთობა დაამყაროს საზოგადოებასთან და იზრუნოს მის შენარჩუნებაზე. ამ მიზნით სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს საკუთარ ვებგვერდს http://gasb.edu.ge, ელექტრონულ ფოსტას info@gasb.edu.ge და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/gasbatumi/. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად და გავრცელებისა და უკუკავშირის მიღებისათვის. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ ინფორმაციას სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სკოლის დირექტორთან შეთანხმებით ამისამართებს შესაბამის თანამშრომელთან. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს კითხვარებს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან უკუკავშირის მისაღებად. მიღებულ უკუკავშირის შედეგად სკოლა სწავლობს საზოგადოების ინტერესებს, რასაც იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებგვერდია http://gasb.edu.ge, რომელზეც ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ინფორმაციის გავრცელების საშუალებად იყენებს ვებგვერდს http://gasb.edu.ge/ და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; მარეგულირებელი დოკუმენტები, სკოლის სტრატეგია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია ფოტომასალა და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი: https://www.facebook.com/gasbatumi/
- ელექტრონულ ფოსტა: info@gasb.edu.ge
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
- სკოლის ვებგვერდი http://gasb.edu.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება უზრუნველყოფილია სკოლის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსით და არ საჭიროებს ორგანიზაციის გარეთ რესურსების დამატებით მოძიებას. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ფინანსური ანგარიში, რომლის მონაცემებით შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ ბიუჯეტის 56% სკოლის პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას დეთმობა. 2% მოსწავლის ფორმებს სკოლას დღის მანძილზე გათვალისწინებული აქვს კვება მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის, კვების ბლოკის ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულმა ხარჯებმა საერთო ბიუჯეტის 8% შეადგინა. მოსწავლეთა მონაწილეობით სხვადასხვა სახის სასკოლო აქტივობების ორგანიზებისათვის გაწეულმა ხარჯებმა 4% შეადგინა, მარკეტინგსა და პიარზე 2 %, სკოლის პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებმა შეადგინა ბიუჯეტის 1%, ტრენინგების 1%. ანგარიშში ასახულია ასევე სკოლის შენობის იჯარის და სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები 24%, კომუნალური გადასახადები 4%.

როგორც ანგარიშიდან ირკვევა, დეკემბრის მდგომაროებით სკოლაში ირიცხებოდა (ირიცხება) 516 მოსწავლე. სკოლის შემოსავლები წარმოდგენილია სწავლის გადასახადის და სახელმწიფოსაგან მიღებული ვაუჩერული დაფინანსების სახით. სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 70% სარგებლობს სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათით (თანამშრომელთა ოჯახის წევრები, ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი ბავშვი). გასულ წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 10%-ით. მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით, 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლის ფინანსური რესურსი შედგება სკოლის ანგარიშზე ჩარიცხული: ვაუჩერის, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგოს, სსსმ მოსწავლის დაფინანსების, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. სკოლა თანხებს განკარგავს მის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ფინასური რესურსების მართვა (დაგეგმვა, განკარგვა, მონიტორინგი, ფინანსური ანგარიშგება და ა.შ.) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით სკოლის დებულების თანახმად სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს, ამტკიცებს და განკარგავს სკოლის დირექტორი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ შინაგანაწესი შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ქცევის კოდექსისა“ და 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ საფუძველზე და განსაზღვრავს სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების ვალდებულებებს, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში - დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესით, მოსწავლეთა ქცევისა და ასევე მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შინაგანაწესის მიზანია მოსწავლის ქცევის კოდექსის დამკვიდრება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი ქცევის მართვა, ჩამოუყალიბდეთ სასკოლო დისციპლინა და ურთიერთპატივისცემა, სკოლაში დამკვიდრებული იყოს კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო და სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები, სადაც მოსწავლეს ექნება სრულფასოვანი სივრცე ცოდნის მისაღებად, უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და სწორი ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე: მოსწავლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება, მოსწავლის ვალდებულებები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის საკითხები, ასევე მოსწავლის წახალისების ფორმები, რომლის თანახმად მოსწავლეები ჯილდოვდებიან წარმატებისათვის სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების და სხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის მადლობის წერილით, სიგელით, დიპლომით და სხვა სახის წამახალისებელი საჩუქრით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა წარმომადგენლებიც ჩართულნი არიან სკოლის ცხოვრებაში. მაგ. მათი წარმომადგენელი ჩართული იყო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მუშაობაში.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ნებისმიერ დროს, მიმართოს დირექციას საკუთარი აზრის გამოსახატავად სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის მრჩეველი/დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს ზოგად ინფორმაციას. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდ. სასწავლო გეგების შემუშავება ხდება რეგულაციების დაცვით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის ერთერთი მთავარი მიზანი სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ **სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

როგორც უკვე აღინიშნა (4.1.1.1) მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით, შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით, რომლებიც საჯაროა, განთავსებულია ვებგვერდზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად კლასის მრჩევლების უფლება მოვალეობებშიც გაწერილია, რომ იგი აცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათ უფლებებსა და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები, მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგები და სხვ.) სასწავლო წლის დაწყების პირველ კვირაში (ხოლო მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ), რაც დასტურდება მშობლის ხელმოწერით.

მშობლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის შინაგანაწესს, რომლის გაცნობის ვალდებულება სკოლასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე აქვთ. კლასის მრჩევლები აქტიურად თანამშრომლობენ მათთან და დროულად აცნობენ მათ შვილის სწავლა აღზრდასთან დაკავშირებულ ნებისმიერი პრობლემას, სემესტრის ბოლოს აცნობენ მათ (ინდივიდუალურად) შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ, ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზებს ადგენენ მათგან, საჭიროების შემთხვევაში უგზავნიან მათ წერილობითი მოწვევას ან უკავშირდებიან ტელეფონით და სხვა. მათ დაადასტურეს ასევე რომ იცნობენ საჩივრების განხილვის წესს და განსაზღვრულ პროცედურებს, რომელსაც მათ კლასის მრჩევლები აცნობენ და რომელიც ასევე სკოლის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი. მოსწავლეებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ისინიც კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს და მოვალეობებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების მოქმედების ვადის და შეწყვეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის, დავის გადაწყვეტის, მხარეთა რეკვიზიტების და დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- სკოლის რეგულაციები;
- სკოლის ვებგვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

შპს ბათუმის ქართულ - ამერიკული სკოლა - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მის საფუძველზე შემუშავებული შიდასასკოლო რეგულაციით. შემუშავებულია შესაბამისი წესი, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. წესის მიზანია, სკოლაში მოსწავლეების, მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე, მოსწავლის ჩარიცხვით დაინტერესებული პირებისათვის გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა და პროცესების ადმინისტრირებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვა. ექსპერტთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის: სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის წესი, მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა საყოველთაო რეგისტრაციის ამოწურვის შემდეგ, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა (გარდა პირველი კლასისა), სკოლაში იმ პირის ჩარიცხვის თავისებურებები, რომელსაც ცალკეული კლასი/კლასები დაძლეული აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდში, სკოლაში მობილობის წესი, სკოლიდან მობილობის წესით სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის სტატუსის აღდგენა, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა, კლასისა და საფეხურის დაძლევა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი. წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესშიც.

ექპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ შემუშავებული ყველა წესი კანონმდებლობის შესაბამისია, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. შემოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვასთან დაკავშირებით და დადგინდა, რომ პროცესი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სკოლაში 3 მოსწავლეს შეჩერებული აქვს სტატუსი მშობელთა განცხადებების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმასა და ქცევის წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, სასკოლო სასწავლო გეგმას და სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას აცნობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ საერთო შეხვედრებზე და ასევე დამრიგებლების მეშვეობით.
სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი ითვალისწინებს დაინტერესებული პირებისათვის გადამოწმებული, სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, მათ შორის, სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აკისრებს ვალდებულებას, სასწავლო გეგმის, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გაავრცელოს მხოლოდ განახლებული და გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტაციის და ვებგვერდის გადამოწმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- შპს ბათუმის ქართულ -ამერიკული სკოლა - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- მოსწავლეთა და მშობელთა კვლევის კითხვარი
- სკოლის ვებგვერდი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში“ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია პირველკლასელთა, სსსმ მოწავლის და სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები. სკოლას განსაზღვრული აქვს სწავლის დაწყების პირველ დღეს მოსწავლეთა საზეიმო დახვედრის პროცედურები. დოკუმენტი მოიცავს მოსწავლის ადაპტაციის შეფასებას, რომელსაც ახორციელებს კლასის მრჩეველი და სკოლის ფსიქოლოგი. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ყველა დაინტერესებულ პირისთვის ადაპტაციის წესის გაცნობის შესაძლებლობა. მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებამ ასევე, სკოლის სოციალური ქსელის მიმოხილვამ ცხადყო, რომ მოსწავლის ადაპტაციის წესით განსაზღვრული მექანიზმები ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესით, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგებით და სკოლის ფეისბუქგვერდის მიმოხილვით ჩანს, რომ სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა, პირველკლასელებს საკლასო ოთახში ხვდებათ სამახსოვრო საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება, ასევე სწავლის დაწყების დღიდან პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოს მოსწავლეთა სათანადო კონსულტირებას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, კლასის მრჩეველს ევალება დაეხმაროს მოსწავლეს აკადემირ თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში, გააკონტროლოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება, დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ, მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეებს მეცადინეობის დროს. თუ მოსწავლის აკადემიური მოსწრება დაბალია, უზრუნველყოს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, რომელიც წინასწარ ცნობილი იქნება მშობლებისთვის. აღნიშული წესების ქმედითობა დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს. სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია აქვს სემესტრული გამოცდების ჩატარება, რომლის მიზანია სემესტრული შედეგების გაუმჯობესება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით, სკოლა უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების ხელმისაწვდომობას საჯაროდ გამოქვეყნებით ან კიდევ პასუხისმგებლი პირის გაცნობით. კერძოდ, სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები. მოსწავლეებმა და მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კლასის მრჩეველი სასწავლო წლის დასაწყისში აწვდის ინფორმაცია სასწავლო პროცესების ძირითადი საკითხების შესახებ. (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). მოსწავლეები წინასწარ ინფორმირები არიან გაცდენების მოსალოდნელი შედეგებზე. ასევე, სემესტრული, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესების და პირობების, მობილობის ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, რაც ასევე დაგვიდასტურეს სკოლის მოსწავლეებმა, სკოლის ადმინისტრაცია დროულად აწვდის მათ ინფორმაციას გამოცხადებული კონკურსებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ. სკოლის მოსწავლეების მონაწილეობენ: კემბრიჯის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტირებაში, რომელიც მოიცავს კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარების შემოწმებას; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში; ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის მე-8 საერთაშორისო ფორუმში ,,European Youth Parliament TIFLISI 23.“; ბათუმის ტექნოპარკის ინიციატივით პროექტში „TechInnovate Your Business - ისწავლე და გამოიყენე ახალი ტექნოლოგიები შენს ბიზნესში“. სკოლა ხშირად თავად არის ღონისძიებები ინიციატორი. კერძოდ, ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ინიციატივით ჩატარდა ჩემპიონატი კალათბურთში, კომპიუტერული სკოლა ,,მზიურის'' შესარჩევი ტესტირება და სხვა. ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა აქტიურად თანამშრომლობს Global Partners for Education-ს ორგანიზაციასთან. ყოველწლიურად 100-მდე მოსწავლეს ორი კვირის განმავლობაში ეძლევა საშუალება აიმაღლონ ინგლისური ენის ცოდნის დონე და უნარ-ჩვევები. Global Partners for Education-ს ჰყავს გამოცდილი, მაღალკვალიფიციური პედაგოგების ჯგუფი, რომელიც ზრუნავს მსოფლიოს მასშტაბით მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაზე. სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (ამერიკის უნივერსიტეტი ბულგარეთში; ჯეიმს თაუნის საზოგადოებრივი კოლეჯი და სხვა), მოსწავლეებს აწვდის ინფორმაცია უცხოურ უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და ხელს უწყობს უცხოურ უნივერსიტეტში ჩაბარებისთვის საჭირო საკითხების გარკვევაში. სკოლაში ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას, რასაც მოწმობს შემუშავებული ,,სასკოლო წრეების პოლიტიკის დოკუმენტი“, დოკუმენტი აღწერს სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობის მიზნებს. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტულ-შემეცნებითი ხასიათის შემდეგი სახის კლუბები: ჭადრაკის, ხელოვნების, ქართული და თანამედროვე ცეკვების, ჟურნალისტთა წრე, კალათბურთის, ფუტზალის, ტანვარჯიშის, სამოქალაქო განათლების კლუბი „citiZen”, ბალეტის, ლეგო-რობოტიკის კლუბი, მხიარული მათემატიკის, ინგლისური წიგნის კითხვის კლუბი. სკოლას ჰყავს საკუთარი ბენდი ,,STREET 117''. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო კლუბების სამუშაო ანგარიშის გაცნობით დგინდება, რომ კლუბების შექმნა და ჩამოყალიბება სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროების კვლევის შედეგების ანალიზზე ხდება. ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. კერძოდ, სკოლაში ფუნქიონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. თვითმართველობის ინიციატივით გაიმართა საახალწლო-გასართობი საღამო. აღნიშნული ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. კერძოდ, სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები: ანონიმური გამოკითხვები, ჯგუფური დისკუსიები ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით და სხვა. 2022-2023 წლის სასკოლო წრეების ანგარიშიდან ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების სურვილია სასკოლო წრეების გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო მიმართულებით, რაც გათვალისწინებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო წრეების შეთავაზებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იკვლევს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლაში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებგვერდი http://gasb.edu.ge/ka
- სკოლის ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/gasbatumi
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სასკოლო წრეების პოლიტიკის დოკუმენტი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას. კერძოდ, სკოლას სტრუქტურით განსაზღვრული ჰყავს არაფორმალური განათლების კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით სხვადასხვა საჭირო ღონისძიებების დანერგვას. საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეები, მრჩეველის საათის ფარგლებში ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. არაფორმალური განათლების კოორდინატორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლის წარმომადგენლებიც პერიოდულად სტუმრობენ სკოლა და მოსწავლეებს აცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს. ანესთეზიის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სკოლამ მოიწვია ანესთეზეოლოგი. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია მედიკოსების პრაქტიკულ საქმიანობის შესახებ. მრჩეველის საათის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები დაესწრნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვას. ასევე, ეწვივნენ კოლეჯ " ბლექსის", სადაც მეორადი სამოსისგან დაამზადეს სხვადასხვა აქსესუარი. მოსწავლეები გაეცნენ სამკერვალო ნაწარმის დიზაინის პროფესიას და პროფესიის შესაძლებლობას ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა პროექტული სწავლება - "მეორადი სამოსის ახალი სიცოცხლე ჩვენი პლანეტისთვის". სკოლა ასევე თანამშრომლობს რამდენიმე უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (ამერიკის უნივერსიტეტი ბულგარეთში; ჯეიმს თაუნის საზოგადოებრივი კოლეჯი და სხვა). მოსწავლეებს და მშობლებს აცნობენ უცხოური საგანმანათლლებლო დაწესებულეების პროგრამებს და ხელს უწყობს მოსწავლეებს უცხოურ უნივერსიტეტში ჩაბარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებს, საკლუბო და საწრეო მუშაობას. სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული დაგეგმვისას მოსწავლეებს და მშობლებს მიაწოდოს სანდო ინფორმაცია. როგორც აღინიშნა, ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლის წარმომადგენლებიც პერიოდულად სტუმრობენ სკოლა და მოსწავლეებს აცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლას ასევე მემორანდუმი აქვს გაფორმებული უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა ყველწლიურად აკეთებს კურსდამთავრებულთა წარმატების სტატისტიკურ ანალიზს, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ საქართველოსა და ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში, მათ შორისაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როლებთანაც პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ფარგლებში თანამშრომლობს სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სტრუქტურა
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის დებულება
- სკოლის ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/gasbatumi
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- კურსდამთავრებულთა სტატისტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სკოლის „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესში“ და 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში. „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“ განსაზღვრავს სსსმ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესს, სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაციებს. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასებას, სსსმ მოსწავლის მხარდამწერ ღონისძიებებს, ინკლუზიური განათლებაზე სკოლაში შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზანს, ამოცანებს და განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სსსმ მოსწავლის განმარტებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრებას და გაცდენას. ასევე სსსმ მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანის წესებსა და პირობებს. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე. წესის შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესით“ განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას გააჩნია ადაპტირებული ფიზიკური გარემო, გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმებსაც. როგორც ავღნიშნეთ სკოლაში სწავლობს ერთი სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, ფსიქოლოგი და სპეც. მასწავლებელი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ სხდომის ოქმი

4.* 2. 4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვება. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სრულფასოვან სადილს, ხოლო I-III კლასებში - დამატებით სამხარს. აღნიშნული დამატებითი მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან კანონმდებლობის დაცვით და უფლების მიღების, კვების ობიექტის ფუნქციონირების HACCP-ის პრინციპების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეობრივ და კლუბურ მუშაობას, რომლებიც შეთავაზებულია არასავალდებულო სახით და მოსწავლეები ერთიანდებიან ინტერესების მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი, რომლის მიხედვით ადგენს მოსწავლის ინტერესებს და ქმნის შესაბამის კლუბს. ნებაყოფლობითი პრინციპით გათვალისწინებულია დავალების საათი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, სკოლის კვების ობიექტი მოწყობილია HACCP პრინციპების გათვალისინებით. პერიოდულად ხდება სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება მარეგულირებელი ორგანოს მიერ. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში და სკოლის მიერ დაგეგმილ ექსკურსიებსა და სხვა გასვლით ღონისძიებებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწვლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის დებულება
- კვების ბლოკის შემოწმების შედეგები
- HACCP-ის დანერგვის მასალები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტით განსაზღვრულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია თანამონაწილეობა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების, კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია დაწყებითი საფეხური (I-IV) და საგნობრივი დეპარტამენტების მასწავლებლების, სკოლის მენეჯმენტის, მოსწავლეების და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ინტერესები. წარმოდგენილი 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მოსწავლეებს დამატებითი საგნების სახით შეთავაზებული აქვთ: I-IV კლასებში წიგნიერება და ლოგიკა, I-VI კლასებში მათემატიკა (Math) ინგლისურ ენაზე, III კლასიდან ინგლისურ ენაზე ისწავლება მეცნიერება (Science), მე-5 კლასიდან მესამე უცხო ენა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ მესამე უცხოურ ენად რუსული, ფრანგული ან გერმანული ენა, იმის გათვალისწინებით, რომელ მეორე უცხოურ ენას ეუფლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(მეორე უცხო ენა ისწავლება მე-3 კლასიდან). მესამე უცხოური ენის არჩევითობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ონლაინ გამოკითხვის ჩატარებას. გამოკითხვა ტარდება სასწავლო წლის დასასრულს, მომდევნო წლის ორგანიზებული დაგეგმვისა და სასწავლო პროცესისათვის მომზადების მიზნით. გარდა ამისა სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტულ-შემეცნებითი ხასიათის კლუბები: ჭადრაკი, ხელოვნება, ქართული ცეკვა, კალათბურთი, ტანვარჯიში, ბალეტი, მხიარული მათემატიკა. სასკოლო წრეების განხორციელება იგეგმება ზაფხულის პერიოდში, გამოკითხვების საფუძველზე. გამოკითვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ხდება საფუძველი არსებული ან სასურველი წრის დამატების ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში, სადაც ჩანს მოსწავლეების და მშობლების კმაყოფილება სასკოლო წრეების მიმართ და რეკომენდაციები სასკოლო წრეების მიმართულებების მიხედვით გამრავალფეროვნების. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო დაწყებითი და საგნობრივი დეპარტამენტები, სკოლის მენეჯმენტი, მოსწავლეები და მშობლები. შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, საჭიროებებს და ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარების პროცესზე ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების საშუალებით. დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს უკავშირდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის და საგნობრივი დეპარტამანტების ყველა მასწავლებელი, შესაბამისად, მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ კლასის მრჩევლები, კერძოდ, ისინი შეიმუშავებენ სადამრიგებლო პროგრამას. კლასის მრჩეველი წარმოადგენს კომუნიკაციის მთავარ არხს სკოლასა და მშობელს შორის და უზრუნველყოფს, მშობლის ინფორმირებას მოსწავლის პროგრესზე, საჭიროებებზე და სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, როგროც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმი-1
- საგნობრივი დეპარტამენტების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მასში გაწერილია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საკითხზე ან საკითხებზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების საშუალებით მუშაობა, კურიკულუმის ჩარჩოში დამატებით, ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები საკითზე ან რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყნებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლებას სკოლა ახორციელებს არაფრიფირებული სახელმძღვანელოებით, რაც ასახულია დაწყებითი საფეხურის ინგლისურის საგნობრივი კურიკულუმში. სკოლას, არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლება, შესაბამისი წესის დაცვით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023)

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ: პირველი კლასის, მე-2 კლასის და მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოების (ცხრილების) მიღმა მიებას ყველა ის დანართები, რომელიც არის მითითებული ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოებში. მე-2 კლასის თემა „ხმელეთი, როგორც გარემოს“ მესამე საკითხის -„სუფთა და უსაფრთხო ხმელეთის“ შესასწავლად დაემატოს ელექტრონული რესურსები. მე -3 კლასის თემა „მზის სისტემის“ სამიზნე ცნებაში „სხეული“ შეივსოს ქვეცნებები, მაგალითად „მსუბუქი და მძიმე სხეულები“ და „მყარი, თხევადი და აირადი მდგომარეობა“, იგივე გაკეთდეს სამიზნე ცნებაში “გარემოს დაცვა” და დაემატოს ქვეცნება, მაგალითად, „გარემოს დაცვის ღონისძიებები”.5კლასის თემა „კოსმოსში“ სამიზნე ცნებას „ორგანიზმი“, ჩაემატოს ქვეცნება/ები, რადგან მოსწავლემ უნდა შესძლოს მსჯელობა მზის სისტემაში (მაგალითად, დედამიწაზე და მარსზე) სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შესახებ, მე-2 თემა - „ეკოსისტემებში“, სამიზნე ცნებებს “სხეული” და „მოვლენა, პროცესში“ დაემატოს ქვეცნებები, რადგან აქაც მოსწავლემ უნდა შეძლოს ეკოსისტემების ცოცხალი და არაცოცხალი კომპონენტების და ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა. მე-3 თემაში -„მოვლენები ჩვენს გარშემო“ სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული ობიექტი” დაემატოს ქვეცნება, რომელიც შესაძლებელია დამუშავდეს, მაგალითად პრაქტიკული სამუშაოზე დაყრდნობით ან/და დედამიწის სტრუქტურის აღწერის დროს. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„კომპლექსური დავალების იდეის“ და „მაგალითი შედარებისთვის“ სვეტებში გადაიხედოს ჩანაწერები, რომელებიც უნდა იყოს ასახული მოკლედ, ლაკონურად და კორექტულად.

დასკვნს სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია

2. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებთან, სამიზნე ცნებებთან და მათთან დაკავშირებულ ქვეცნებებთან. კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და შესაბამისი რესურსები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები წარმოადგენს გამამთლიანებენ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება შედეგის გააზრება, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული კომპლექსური ბუნების დავალებების მნიშვნელობა. ამგვარი დავალებები ხელს უწმობს მოასწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათს და პიროვნებას.

ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რომ პედაგოგები იაზრებენ იმას, თუ როგორ მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს დაწყებითი საფეხურის საგნების ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია

3. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერების, დაწესებულების პედაგოგებთან ინტერვიუების და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესი“-ს საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს და ახორციელებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში არის ფსოქოლოგი, რომლის სამუშაო აღწერილობაც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლისათვის საჭირო მხარდაჭერას. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საგნობრივი დეპარტამენტები ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ ან ინკლუზიურ მიდგომებს, მაგალითად, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის, ტესტები შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. დაწყებით საფეხურზე სწავლობს ერთი სსსმ მოსწავლე, ნიმუშის სახით წარმოდგენილია მე-3 კლასის მეუსიკის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ყოველთვის ახდენენ კომპლექსური დავალებების მორგებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებას და შესაძლებლობებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მიერ განსაზღვრულია მოსწავლის შეფასება, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებების მიხედვით მე-5 კლასში ჩვენი საქართველოს თემის ქართლის ფარგლებში, განმსაზღვრელი შეფასება მე-6 კლასის თემა კახეთის მიხედვით, რაც მკაფიო კავშირშია საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან. შესაბამისად, საგნობრივ დეპარტამენტს გააზრებული აქვს მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით შეფასების კონცეფცია.

ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია

5. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, მიმდინარე წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი წარიმართა წინარე გამოცდილების ანალიზის შედეგად და გათვალისწინებული იყო განვლილი გამოცდილება, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერილია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, ასევე მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგვის პროცესის შესწავლის და საგნობრივი დეპარტამენტების სხდომებზე განხილვის შედეგად, სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი დეპარტამენტები ახორციელებენ გადასინჯვას და მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები
- წერილი, არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023)
- „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- საგნობრივი დეპარტამენტების ოქმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, ფიზიკური აღზრდის და სპორტის მიმართულებით მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი. შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს მაღალი დონის სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სპორტული აქტივობების, სასკოლო ფესტივალების ჩატარების შესაძლებლოას ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში ბუნების პედაგოგებმა წარმოგვიდგინეს პროდუქტები, რომლებიც შეიქმნა კლასგარეშე პროექტების ფარგლებში და ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის მოსწავლეები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. ასევე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისა და საწრეო მუშაობებში მონაწილეობისას. ამას მოწმობს სკოლის რობოტიკის კლუბის წარმატებები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმში მოცემულია პროექტული დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრულად ჩაბმას. კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტული დავალებებით მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები.

სახელწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მასში შემავალი დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

   დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს მაგალითები და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოტანა, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის განმრტებით, მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დავალებები: პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: მომავლის ავტომობილის დიზაინი; პრეზენტაცია თემაზე: „ჩემი საყვარელი დღესასწაული, უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, პროექტები, განმავითარებელი შეფასებები და სხვა ინსტრუმენტები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის სწავლება. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ამ მიმართულებით მათ გამოცდილებაზე, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენის ნაწილში, მოსწავლე აანალიზებს თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალებაზე მუშაობის პროცესში. შეთავაზებული დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. აღნიშნულ კურიკულუმებში არსებული აქტივობები ნამდვილად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი იძლევა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების საშუალებას. საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, სკოლაში არსებული კარგად აღჭურვილი ბუნებისმეტყველების კაბინეტ-ლაბორატორია, ვირტუალური ლაბორატორიის საშუალებები, სადემონსტრაციო მასალები, თვალსაჩინოებები, მულაჟები, მიკროსკოპები და სხვადასხვა რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ანვითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხვორების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქვთ ისეთი დავალებები, როგორიცაა „ქართული ფული“, „მოვაწყოთ კარმიდამო“, „გაყიდვების მენეჯერი“, „საქართველოს რეგიონები“, „მწვერვალები და მათი სიმაღლეები“, „შოკოლადის ორცხობილის დამზადება“ და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწყებითი საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებითა და დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება.
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსურების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდიანრე, ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური (თემა, დავალების იდეა) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთირთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები
- საგნობრიი დეპარტამენტებს პირველი სემესტრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- საგნობრივი დეპარტამენტების 2022-2023 სასწავლო წლის წლიური ანგარიშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საეტაპო აქტივობებიდან და კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით .

   ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია
2. დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს ძირითადი საკითხის ფარგლებში, კონტექსტ მაგალითების სახით სწორად აქვთ გააზრებული და შეთავაზებული მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. საბუნებისმეტყველო მიმართულებით, სკოლამ განახორციელა შემდეგი პროექტები და ღონისძიებები: დედამიწის დღე ვიზიტი აკვარიუმში და დელფინარიუმში; დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საერთაშორისო დღე-“ქრომოსომებს არ ითვლიან“; პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე; მე-4 და მე-5 კლ. იმიტირებული გაკვეთილი - „როგორ მოვუაროთ პირის ღრუს“; მე-6 კლ. “წყლის ბინადართა ცხოვრება, მათი მოვლა ხელოვნურად შექმნილ საარსებო გარემოში”; მე-5 კლ. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე - პრეზენტაცია თემაზე: - “ცოცხალი ორგანიზმების ბიომრავალფეროვნება საქართველოში”, „საქართველოს წითელი წიგნი“, საკლასო გამოფენა; მე-6 კლ. გარემოს დაცვის დღე - „ბუნება თქვენს სამსახურში“. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ.

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და შედეგების მიღწევის ტაქსონომია. ისინი უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს პრეზენტაციისათვის, პრაქტიკული სამუშაოებისათვის, აქტივობებისათვის და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა წინასწარ იციან გაკვეთილზე, თუ რის მიხედვით შეფასდებიან. მოსწავლეები რიგ შემთხვევაში მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში. გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება, აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლა სწორი მიმართულებით ანვითარებს შეფასების სისტემას და ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

5. შპს ,,ბათუმის ქართულ-ამერიკულმა სოლამ“ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“ (ბრძანება N01-03 – 15.01.2024), რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლეთა შეფასების ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი შეფასების პრინციპები, ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ჯგუფი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი, ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო ამოცანები, ვერიფიკაციის პროცესი და შეფასების მტკიცებულებების შენახვის წესები. სკოლამ ასევე წარმოადგინა პარტნიორ სკოლასთან შპს ,,თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის განხორციელდება სკოლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაციის მიზნით მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებით და გაფორმებული მემორანდმით სკოლა აცხადებს მზაობას ვერიფიკაციის პროცესი განახორციელოს შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: სხდომის ოქმები; ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები; მიმდინარე წელს ჩატარებული გაკვეთილის ბარათები; აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი და მასში ასახული როგორც განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასებები და ვერიფიკაციის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი(ბრძანება N01-03 – 15.01.2024)
- მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემების ვერიფიკაციის მიზნით გაფორმებული მემორანდული შპს ,,თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლასა“ და შპს ,, ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლა“ შორის.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია, მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. საგნობრივი ექსპერტები, პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო არსებობს. დეპარატმენტის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. ინტერვიუს დროს აქცენტი გაკეთდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული დავალებებით, რომლებიც შერჩეული/შექმნილია მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და მასწავლებლების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი ციფრული რესურსები მოსწავლეებს უადვილებს საბუნებისმეტყველი საგნებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დაუფლებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, მეორე და მესამე უცხოენების შესწავლის დროს არჩევანი გააკეთონ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებს შორის. სკოლაში არსებული მრავალფეროვანი წრეების და კლუბები ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობების გამოვლენას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვის მოსწავლეზე ორიენტირებული ხასიათი, კერძოდ, გამოიყენება კომპლექსური ტიპის (ბუნების) დავალებები, რაც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლეებს შორის ინდივიდუალურობის, შემოქმედებითობისა და ავტონომიურობის განვითარებისთვის. სპორტის მიმართულებით, კურიკულუმებში თემების მრავალფეროვნება, კომპლექსური დავალების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. გათვალისწინებული სხვადასხვა სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები. იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეებია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლა ორიენტირებულია, შექმნას გარემო, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია და მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აქედან გამომდინარე საგნობრივი ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. მშობლები ეცნობიან კლასში გასახორციელებელ დავალებებს ბარათების მეშვეობით, რაც ცხადყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ დეპარტამენტის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/დახვეწაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, რაც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემოს შექმნას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების იტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა.

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო. ამ ყველაფრში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კეთილგანწყობას, მათ თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მშობლებთან. აღნიშნულ საკითხს ხელს უწყობს ადმინისტრაციის კეთილგანწყობა, პასუხიმგებლობის დელეგირება, დაფასება, მასწავლებელთათვის თუ სხვა დასაქმებულთათვის პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა, ეზოსა თუ სართულებზე მასწავლებელთა მორიგეობა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მუშაობა, კომპეტენტური ექთანი, გამართული ინფრასტრუქტურა, ვიდეო-სათვალთვალო სისტემა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს სასკოლო პროექტი, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები და მონაწილეობენ ღონისძიებებში. აღნიშნული ინდიკატორის და მისი ცალკეული კომპონენტის გამომდინარე, პოზიტიური სასწავლო კლიმატის დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიებები გულისხმობს მათ ჩაშენებას როგორც კურიკულუმში, ისე მის გარეთ დაგეგმილი აქტივობების სახით. აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართულია ფესტივალების ორგანიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- წრეების და კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის ეტაპზე მოწმდება, თუ რამდენად დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს პროცესები, ხოლო შეფასების შედეგად - განხორციელებული აქტივობები რამდენად იძლევა სასურველ შედეგს. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსზღვრულია კურიკულუმის განვითარბის პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტები. კერძოდ, კათედრების დოკუმენტაციის შესწავლა, საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ანონიმური გამოკითხვები. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, დამატებითი მექანიზმების გამოყენებაც (მაგ. ჯგუფური დისკუსიის მეთოდი, ჩარღმავებული ინტერვიუ). მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარება მათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივ დეპარტამენტებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა. პედაგოგები კურკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ დასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად აანალიზებენ შედეგებს. შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სადამრიგებლო პროგრამის და საგნობრივი დეპარტამენტების პორტფოლიოსა გაცნობის შედეგად, ჩანს რომ სკოლას აქვს გამოცდილება და ხედვა მომავალშიც დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. ამას ადასტურებს დეპარტამენტის სხდომებზე ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზის შედეგები, მასწავლებლების და დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

3. ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, აგრეთვე თანდართულ დოკუმენტებში, შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე (მუხლი9. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება) დგინდება, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი განმარტავს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის უცხოური ენების დეპარტამენტს შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელიც თავისთავად მოიაზრებს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით სკოლა/კდეპარტამენტი შეძლებს განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტით რჩევით, სასურველია შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა <u>გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის</u> შემდგომი პროცესი სწორად პროგნოზირდეს და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. საუბარისას სკოლის დირექციამ დაადასტურა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, რეფლექსიების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, ასევე მშობლების ან მოსწავლეთა მხრიდან უკუკავშირი. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, საგნობრივი დეპარტამენტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად: შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, შესაბამისად ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა დაწებით საფეხურზე ახორციელებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით. აღნიშნული ტიპის დავალებები იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების, ასევე წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით და საგნობრივი დეპარტამენტების სემესტრული ანგარიშებით. სკოლაში ხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობით სხვადასხვა უნარების დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინებულია გარე ფაქტორებიც, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო წრეების პოლიტიკის დოკუმენტი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სასკოლო და საგნობრივი დეპარტამენტების დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, ასევე მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება სკოლის ადმინისტრაციის წევრები, მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა ნაბიჯები, სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის ითვალისწინებენ მიღწევების თვითშეფასებას, სტრატეგიული გეგმის ხედვებს და წლიურ სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ

წინა სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება რომ, მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგილი სასწავლო პროცესის რესურსების, აქტივობების და სხვა ეფექტიანობის მონაცემები.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტით განსაზღვრულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია თანამონაწილეობა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების, კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია მასწავლებლების, სკოლის მენეჯმენტის, საბაზო საფეხურის მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინტერესები. წარმოდგენილი 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მოსწავლეებს დამატებითი მომსახურეობის სახით შეთავაზებულია მეცნიერების (Science სწავლება ინგლისურ ენაზე. საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ მესამე უცხოურ ენად რუსული, ფრანგული ან გერმანული ენა, იმის გათვალისწინებით, რომელ მეორე უცხოურ ენას ეუფლება. მესამე უცხოური ენის არჩევითობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ონლაინ გამოკითხვის ჩატარებას. გამოკითხვა ტარდება სასწავლო წლის დასასრულს, მომდევნო წლის ორგანიზებული დაგეგმვისა და სასწავლო პროცესისათვის მომზადების მიზნით. გარდა ამისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტულ-შემეცნებითი ხასიათის კლუბები. საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეუძლიათ გაერთიანდნენ შემდეგ წრეებში: ქართული ცეკვა, თანამედროვე ცეკვა, კალათბურთი, ფუტზალი, ინგლისური წიგნის კითხვის კლუბი, საოლიმპიადე მათემატიკა, ლეგო-რობოტიქსის კლუბი, ბრეიქდანსი, სასკოლო ბენდი „სთრით 117“ , ქალაქური და ხალხური სიმღერების კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი „citiZen”, სასკოლო წრეების განხორციელება იგეგმება ზაფხულის პერიოდში, გამოკითხვების საფუძველზე. გამოკითვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ხდება საფუძველი არსებული ან სასურველი წრის დამატების ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში, სადაც ჩანს მოსწავლეების და მშობლების კმაყოფილება სასკოლო წრეების მიმართ და რეკომენდაციები სასკოლო წრეების მიმართულებების მიხედვით გამრავალფეროვნების. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საბაზო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საბაზო საფეხურის მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი, მოსწავლეები და მშობლები. შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, საჭიროებებს და ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარების პროცესზე ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების საშუალებით. საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს უკავშირდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ კლასის მრჩევლები, კერძოდ, ისინი შეიმუშავებენ სადამრიგებლო პროგრამას. კლასის მრჩეველი წარმოადგენს კომუნიკაციის მთავარ არხს სკოლასა და მშობელს შორის და უზრუნველყოფს, მშობლის ინფორმირებას მოსწავლის პროგრესზე, საჭიროებებზე და სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, როგროც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმი-1
- საგნობრივი დეპარტამენტების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მასში გაწერილია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საკითხზე ან საკითხებზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების საშუალებით მუშაობა, კურიკულუმის ჩარჩოში დამატებით, ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები საკითზე ან რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყნებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსური ბუნების დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლებას სკოლა ახორციელებს არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით, რაც ასახულია საბაზო საფეხურის ინგლისურის საგნობრივი კურიკულუმში. სკოლას, არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლება, შესაბამისი წესის დაცვით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023)

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ: მე-8, მე-9 კლასების ბიოლოგიის კურიკულუმებში, აისახოს ქვეცნებები; ქიმიის ფიზიკის ბიოლოგიის (8 კლ) საფეხურის ყველა კურიკულუმის ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - "სასწავლო რესურსები" „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის" ნაცვლად, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ბეჭდური, ელექტრონული წყაროები, ინტერნეტ და საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსები, სპეციალურად შექმნილი რესურსები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია

2. შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის" მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებთან, სამიზნე ცნებებთან და მათთან დაკავშირებულ ქვეცნებებთან. კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და შესაბამისი რესურსები. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები წარმოადგენს გამამთლიანებენ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება შედეგის გააზრება, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული კომპლექსური ბუნების დავალებების მნიშვნელობა. ამგვარი დავალებები ხელს უწმობს მოასწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათს და პიროვნებას.

ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რომ პედაგოგები იაზრებენ იმას, თუ როგორ მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს საბაზო საფეხურის საგნების ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია

3. შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერების, დაწესებულების პედაგოგებთან ინტერვიუების და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“-ს საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს და ახორციელებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში არის ფსიქოლოგი, რომლის სამუშაო აღწერილობაც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლისათვის საჭირო მხარდაჭერას. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საგნობრივი დეპარტამენტები ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ ან ინკლუზიურ მიდგომებს, მაგალითად, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის, ტესტები შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ყოველთვის ახდენენ კომპლექსური დავალებების მორგებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებას და შესაძლებლობებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მიერ განსაზღვრულია მოსწავლის შეფასება, რაც მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების დადგენას გულისხმობს. საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც კავშირშია სტანდარტის ინდიკატორებთან და საშუალებას იძლევა, მოსწავლე შეფასდეს გრძლევადიანი მიზნის ფარგლებში საფეხურის შედეგების მიხედვით. შესაბამისად, კათედრას აქვს ხედვა მოსწავლე შეაფასოს ჰოლისტურად.

ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია

5. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი წარიმართა წინარე გამოცდილების ანალიზის შედეგად და გათვალისწინებული იყო განვლილი გამოცდილება, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერილია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, ასევე მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგვის პროცესის შესწავლის და საგნობრივი დეპარტამენტების სხდომებზე განხილვის შედეგად, სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი დეპარტამენტები ახორციელებენ გადასინჯვას და მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- წერილი, არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023)
- „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, ფიზიკური აღზრდის და სპორტის მიმართულებით მოიცას სხვადასხვა ტიპის სპორტის სახეობებს, მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში, ასევე თვითონაც ატარებენ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს, ყოველივე ეს საბოლოოდ ბავშვების ჩართულობის მაღალ მაჩვენებლს გულისხმობს. სკოლას აქვს მაღალი დონის სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა წარმოგვიდგინეს პროდუქტები, რომლებიც შეიქმნა კლასგარეშე პროექტების ფარგლებში. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. ასევე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისა და საწრეო მუშაობებში მონაწილეობისას. ამას მოწმობს სკოლის რობოტიკის კლუბის წარმატებები. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია პროექტული დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრულად ჩაბმას. კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტული დავალებებით მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქმედებით პროცესში ჩართული. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები.

სახელწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მასში შემავალი დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

   საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს მაგალითები და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოტანა, მაგ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის განმრტებით, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია პროექტული ტიპის დავალებები: პრეზენტაცია თემაზე: ჩემი საყვარელი საჭმლის რეცეპტი; ბროშურის პრეზენტაცია თემაზე: ტურისტული ქალაქის გზამკვლევი; აღნიშნული დავალებები ისეეთი სახითაა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს აძლევს საშუალებას ააგოს ახალი ცოდნა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, პროექტები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები და სხვა ინსტრუმენტები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის სწავლება. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ამ მიმართულებით მათ გამოცდილებაზე, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენის ნაწილში, მოსწავლე აანალიზებს, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალებაზე მუშაობის პროცესში. შეთავაზებული დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. აღნიშნულ კურიკულუმებში არსებული აქტივობები ნამდვილად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი იძლევა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების საშუალებას. საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, სკოლაში არსებული კარგად აღჭურვილი ბუნებისმეტყველების კაბინეტ-ლაბორატორია, ვირტუალური ლაბორატორიის საშუალებები, სადემონსტრაციო მასალები, თვალსაჩინოებები, მულაჟები, მიკროსკოპები და სხვადასხვა რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქვთ ისეთი დავალებები, როგორიცაა „ქალაქის დაგეგმარება“, „კულტურული მემკვიდრეობა და მათემატიკა“ და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებითა და დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება.

   სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსურების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდიანრე, ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური (თემა, დავალების იდეა) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთირთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები
- საგნობრიი დეპარტამენტებს პირველი სემესტრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- საგნობრივი დეპარტამენტების 2022-2023 სასწავლო წლის წლიური ანგარიშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საეტაპო აქტივობებიდან და კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით .

   ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია
2. საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ, საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს ძირითადი საკითხის ფარგლებში, კონტექსტ მაგალითების სახით სწორად აქვთ გააზრებული და შეთავაზებული მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. საბუნებისმეტყველო მიმართულებით, სკოლამ განახორციელა შემდეგი პროექტები და ღონისძიებები: დედამიწის დღესთან დაკავშირებით- პროექტი - „ადამიანი და გარემო“; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი, საზოგადოებრივი მეცნიერებების (გეოგრაფია) დეპერტამენტის და თანამედროვე საერთაშორისო განათლების ცენტრის ერთობლივი ინტეგრირებული პროექტი - „კლიმატის ცვლილებების პოლიტიკა“; მე-9 კლ -შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვიქტორინა მე- 8 და მე-9, კლასებში; გარემოს დაცვის დღე - „ბუნება თქვენს სამსახურში; კიბოს მსოფლიო დღე -ღონისძიება - „მე ვარ და მე ვიქნები“ ვიზიტი ონკოლოგიურ ცენტრში; მე-7 კლ პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,ჰიდრავლიკული მანქანა"; მე-8კლ პროექტი ,, ელექტრო კარი" მე-9 კლ.; პროექტი ,,ფრთხილად ავტომობილი''; მე-8 კლ აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიება; მე-9 კლ ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეები; მე-8 კლ კლიმატის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფილმის „გლობალური დათბობის" ჩვენება. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერეების საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტმა ითანამშრომლოს სხვა სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებთან STEM-პროექტების განხორციელებისთვის, ასევე გამოიყენოს უნიკალური სასკოლო ბაზა არაფორმალური განათლების განსახორციელებლად, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია , ფიზიკა, ბიოლოგია) კლუბები, წრეები და ა.შ.

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას, კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან იკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს პრეზენტაციისათვის, პრაქტიკული სამუშაოებისათვის, აქტივობებისათვის და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა წინასწარ იციან გაკვეთილზე, თუ რის მიხედვით შეფასდებიან. მოსწავლეები რიგ შემთხვევაში მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში. გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება, აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლა სწორი მიმართულებით ანვითარებს შეფასების სისტემას და ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. შპს ,,ბათუმის ქართულ-ამერიკულმა სოლამ“ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“ (ბრძანება N01-03 – 15.01.2024), რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლეთა შეფასების ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი შეფასების პრინციპები, ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ჯგუფი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი, ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო ამოცანები, ვერიფიკაციის პროცესი და შეფასების მტკიცებულებების შენახვის წესები. სკოლამ ასევე წარმოადგინა პარტნიორ სკოლასთან შპს ,,თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის განხორციელდება სკოლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაციის მიზნით მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებით და გაფორმებული მემორანდმით სკოლა აცხადებს მზაობას ვერიფიკაციის პროცესი განახორციელოს შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

6. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: სხდომის ოქმები; ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები; მიმდინარე წელს ჩატარებული გაკვეთილის ბარათები; აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი და მასში ასახული როგორც განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასებები და ვერიფიკაციის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი(ბრძანება N01-03 – 15.01.2024)
- მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემების ვერიფიკაციის მიზნით გაფორმებული მემორანდული შპს,, თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლასა“ და შპს ,, ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლა“ შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. სკოლაში მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია, მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. საგნობრივი ექსპერტები, პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო არსებობს. დეპარატმენტის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. ინტერვიუს დროს აქცენტი გაკეთდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული დავალებებით, რომლებიც შერჩეული/შექმნილია მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა მსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და მასწავლებლების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი ციფრული რესურსები მოსწავლეებს უადვილებს საბუნებისმეტყველი საგნებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დაუფლებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მეორე და მესამე უცხოენების შესწავლის დროს არჩევანი გააკეთონ გერმანულ,ფრანგულ და რუსულ ენებს შორის. სკოლაში არსებული მრავალფეროვანი წრეების და კლუბები ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობების გამოვლენას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვის მოსწავლეზე ორიენტირებული ხასიათი, კერძოდ, გამოიყენება კომპლექსური ტიპის (ბუნების) დავალებები, რაც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლეებს შორის ინდივიდუალურობის, შემოქმედებითობისა და ავტონომიურობის განვითარებისთვის. სპორტის მიმართულებით, კურიკულუმებში თემების მრავალფეროვნება, კომპლექსური დავალების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. გათვალისწინებული სხვადასხვა სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები. მასწავლებლები იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეებია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების, კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლა ორიენტირებულია შექმნას გარემო, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია და მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აქედან გამომდინარე საგნობრივი ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. მშობლები ეცნობიან კლასში გასახორციელებელ დავალებებს ბარათების მეშვეობით, რაც ცხადყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გარდა ამისა მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ ისაუბრეს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებულ მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ დეპარტამენტის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/დახვეწაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, რაც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემოს შექმნას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების ინტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წამახალისებელი ღონისძიება, რომლის სურვილიც ბავშვებს ექნებათ. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით მოვლინდა, რომ სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო. ამ ყველაფრში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კეთილგანწყობას, თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მშობლებთან. აღნიშნულ საკითხს ხელს უწყობს ადმინისტრაციის კეთილგანწყობა, პასუხიმგებლობის დელეგირება, დაფასება, მასწავლებელთათვის თუ სხვა დასაქმებულთათვის პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა, ეზოსა თუ სართულებზე მასწავლებელთა მორიგეობა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მუშაობა, კომპეტენტური ექთანი, გამართული ინფრასტრუქტურა, ვიდეო-სათვალთვალო სისტემა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. აღნიშნული ინდიკატორის და მისი ცალკეული კომპონენტებიდან გამომდინარე, პოზიტიური სასწავლო კლიმატის დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიებები გულისხმობს მათ ჩაშენებას, როგორც კურიკულუმში, ისე მის გარეთ დაგეგმილი აქტივობების სახით. აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართულია ფესტივალების ორგაიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- წრეების და კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის ეტაპზე მოწმდება, თუ რამდენად დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს პროცესები, ხოლო შეფასების შედეგად - განხორციელებული აქტივობები რამდენად იძლევა სასურველ შედეგს. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტები. კერძოდ, კათედრების დოკუმენტაციის შესწავლა, საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ანონიმური გამოკითხვები. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, დამატებითი მექანიზმების გამოყენებაც (მაგ. ჯგუფური დისკუსიის მეთოდი, ჩარღმავებული ინტერვიუ). მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარება მათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივ დეპარტამენტებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა. პედაგოგები კურკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ დასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად აანალიზებენ შედეგებს. შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სადამრიგებლო პროგრამის და საგნობრივი დეპარტამენტების პორტფოლიოს გაცნობის შედეგად, ჩანს რომ სკოლას აქვს გამოცდილება და ხედვა მომავალშიც დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. ამას ადასტურებს დეპარტემენტის სხდომებზე ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზის შედეგები, მასწავლებლების და დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

3. ინტერვიუ დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, აგრეთვე თანდართულ დოკუმენტებში, შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე (მუხლი 9. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება) დგინდება, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი განმარტავს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის უცხოური ენების დეპარტამენტს შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელიც თავისთავად მოიაზრებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით სკოლა/დეპარტამენტი შეძლებს განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტით რჩევით, სასურველია შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა <u>გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის</u> შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირების და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციებს გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- შეფასების ინსტრუმენტები
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. საუბარისას სკოლის დირექციამ დაადასტურა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, რეფლექსიების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, ასევე მშობლების ან მოსწავლეთა მხრიდან უკუკავშირი. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, საგნობრივი დეპარტამენტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად: შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, შესაბამისად ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. შესაბამისად ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა საბაზო საფეხურზე ახორციელებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის კურიკულუმით. აღნიშნული ტიპის დავალებები იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების, ასევე წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით და საგნობრივი დეპარტამენტების სემესტრული ანგარიშებით. სკოლაში ხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობით სხვადასხვა უნარების დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინებულია გარე ფაქტორებიც, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე (გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა).

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო წრეების პოლიტიკის დოკუმენტი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სასკოლო და საგნობრივი დეპარტამენტების დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, ასევე მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება სკოლის ადმინისტრაციის წევრები, მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა ნაბიჯები, სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის ითვალისწინებენ მიღწევების თვითშეფასებას, სტრატეგიული გეგმის ხედვებს და წლიურ სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ წინა სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება რომ, მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგილი სასწავლო პროცესის რესურსების, აქტივობების და სხვა ეფექტიანობის მონაცემები.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტით განსაზღვრულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია თანამონაწილეობა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების, კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

   ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია მასწავლებლების, სკოლის მენეჯმენტის, საბაზო საფეხურის მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინტერესები. წარმოდგენილი 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მოსწავლეებს დამატებითი მომსახურეობის სახით შეთავაზებული აქვსთ ,,აბიტურ საათები“ ქართულში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და მათემატიკაში. მე-10 კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ მესამე უცხოურ ენად რუსული, ფრანგული ან გერმანული ენა, იმის გათვალისწინებით, რომელ მეორე უცხოურ ენას ეუფლება. მესამე უცხოური ენის არჩევითობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ონლაინ გამოკითხვის ჩატარებას. გამოკითხვა ტარდება სასწავლო წლის დასასრულს, მომდევნო წლის ორგანიზებული დაგეგმვისა და სასწავლო პროცესისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომზადების მიზნით. მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შემდეგი არცევითი საგნების სწავლებას: ამერიკისმცოდნეობა, მეწარმეობის საფუძვლები, გარემო და მდგრადი განვითარება. გარდა ამისა სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტულ-შემეცნებითი ხასიათის კლუბები. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეუძლიათ გაერთიანდნენ შემდეგ წრეებში: ქართული ცეკვა, თანამედროვე ცეკვა, კალათბურთი, ფუტზალი, ინგლისური წიგნის კითხვის კლუბი, საოლიმპიადე მათემატიკა, ლეგო-რობოტიქსის კლუბი, ბრეიქდანსი, სასკოლო ბენდი „სთრით 117“ , ქალაქური და ხალხური სიმღერების კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი „citiZen”, სასკოლო წრეების განხორციელება იგეგმება ზაფხულის პერიოდში, გამოკითხვების საფუძველზე. გამოკითვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ხდება საფუძველი არსებული ან სასურველი წრის დამატების ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში, სადაც ჩანს მოსწავლეების და მშობლების კმაყოფილება სასკოლო წრეების მიმართ და რეკომენდაციები სასკოლო წრეების მიმართულებების მიხედვით გამრავალფეროვნების. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საშუალო საფეხურის მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი, მოსწავლეები და მშობლები. შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, საჭიროებებს და ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარების პროცესზე ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების საშუალებით. საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს უკავშირდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ კლასის მრჩევლები, კერძოდ, ისინი შეიმუშავებენ სადამრიგებლო პროგრამას. კლასის მრჩეველი წარმოადგენს კომუნიკაციის მთავარ არხს სკოლასა და მშობელს შორის და უზრუნველყოფს, მშობლის ინფორმირებას მოსწავლის პროგრესზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებებზე და სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმი-1
- საგნობრივი დეპარტამენტების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მასში გაწერილია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საკითხზე ან საკითხებზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების საშუალებით მუშაობა, კურიკულუმის ჩარჩოში დამატებით, ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები საკითზე ან რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყენებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსური ბუნების დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლებას სკოლა ახორციელებს არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით, რაც ასახულია საშუალო საფეხურის ინგლისურის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლას, არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლება, შესაბამისი წესის დაცვით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023).

მათემატიკის ექსპერტი აღნიშნავს რომ, საშუალო საფეხურზე სკოლას ჯერ არა აქვს განხორციელებული არცერთი კომპლექსური დავალება. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი სკოლას აძლევს რჩევას, განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალო საფეხურზე, რათა უზრუნველყოს მიღებული ცოდნის რეალიზებას და სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარებაში.**

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები კერძოდ:მე-10, მე-11 კლასების ბიოლოგიის კურიკულუმებში, აისახოს ქვეცნებები; მე-10, კლასების ბიოლოგიის კურიკულუმში, დაკორექტდეს თემების დასახელება, რადგან „სიცოცხლის მოლეკულები“ მე-2 თემის დასახელება „უჯრედის კომპონენტები“ მე -3 თემის დასახელება „უჯრედული მეტაბოლოზმი“ - უფრო შეესაბამება, სტატუსი-საკითხი, ამიტომ, სასურველი, რომ დასახელება თემების განისაზღვროს შემდეგნაირად,- პირველი თემის დასახელება იყოს „უჯრედის ბიოლოგია“ , მეორეს- „უჯრედის გამრავლება“; ქიმიის და ფიზიკის საფეხურის ყველა კურიკულუმის ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - "სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსები" „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის" ნაცვლად, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ბეჭდური, ელექტრონული წყაროები, ინტერნეტ და საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები და აგრეთვე სპეციალურად შექმნილი რესურსები.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია

2. შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის" მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებთან, სამიზნე ცნებებთან და მათთან დაკავშირებულ ქვეცნებებთან. კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და შესაბამისი რესურსები. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები წარმოადგენს გამამთლიანებენ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება შედეგის გააზრება, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული კომპლექსური ბუნების დავალებების მნიშვნელობა. ამგვარი დავალებები ხელს უწმობს მოასწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათს და პიროვნებას. ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რომ პედაგოგები იაზრებენ იმას, თუ როგორ მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს საშუალო საფეხურის საგნების ფარგლებში.

ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია

3. შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერების, დაწესებულების პედაგოგებთან ინტერვიუების და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი"-ს საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს და ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში არის ფსოქოლოგი, რომლის სამუშაო აღწერილობაც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლისათვის საჭირო მხარდაჭერას. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საგნობრივი დეპარტამენტები ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ ან ინკლუზიურ მიდგომებს, მაგალითად, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის, ტესტები შედგენილია მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ყოველთვის ახდენენ კომპლექსური დავალებების მორგებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებას და შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მიერ განსაზღვრულია მოსწავლის შეფასება, რაც მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების დადგენას გულისხმობს. საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც კავშირშია სტანდარტის ინდიკატრებთან და საშუალებას იძლევა მოსწავლე შეფასდეს გრძლევადიანი მიზნის ფარგლებში საფეხურის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია

5. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, მიმდინარე წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი წარიმართა წინარე გამოცდილების ანალიზის შედეგად და გათვალისწინებული იყო განვლილი გამოცდილება, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერილია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, ასევე მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგვის პროცესის შესწავლის და საგნობრივი დეპარტამენტების სხდომებზე განხილვის შედეგად, სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი დეპარტამენტები ახორციელებენ გადასინჯვას და მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- წერილი, არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 9 23 0001157753; 15.09.2023)
- „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაციის წესი“
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მიმართულებით მოიცას სხვადასხვა ტიპის სპორტის სახეობებს, მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში, ასევე სკოლა თვითონაც ატარებს მსგავსი ტიპის ღონისძიებებს, ყოველივე ეს საბოლოოდ ბავშვების ჩართულობის მაღალ მაჩვენებლს გულისხმობს. სკოლას აქვს მაღალი დონის სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლეების მოტივაციაზე. ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში საშალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა წარმოგვიდგინეს პროდუქტები, რომლებიც შეიქმნა კლასგარეშე პროექტების ფარგლებში. მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმში მოცემულია პროექტული დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრულად ჩაბმას. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი სკოლას ურჩევს: განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ასევე დაეხმარება სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარებაში.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოიფიქრონ და შექმნან (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად) შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ის აქტივობები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებენ შემოქმედებითი ხასიათის დავალებების განხორციელებისას. კათედრაზე უნდა შეირჩეს იმგვარი აქტივობები, (პრაქტიკული გამოცდილება) რომელთა გამოყენებაც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კონკრეტული თემების, საგნობრივი საკითხებისა და სპეციფიკური საგნობრივი ცნებების (ქვეცნებების) საფუძვლიანად გააზრებასა და გაცნობიერებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მასში შემავალი დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები, რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს მაგალითები და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოტანა, მაგ. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის განმრტებით, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია პროექტული ტიპის დავალებები: ილუსტრირებული წიგნის შექმნა და წარდგენა თემაზე: ისტორიული ფიგურები საქართველოს ეროვნულ ბანკნოტებზე; ბლოგი თემაზე: რა არის ჩემი ჰოროსკოპის ნიშანი?"; აღნიშნული დავალებები ისეეთი სახითაა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს აძლევს საშუალებას ააგოს ახალი ცოდნა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. საშუალო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, პროექტები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები და სხვა ინსტრუმენტები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის სწავლება. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ამ მიმართულებით მათ გამოცდილებაზე, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენის ნაწილში, მოსწავლე აანალიზებს თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალებაზე მუშაობის პროცესში. შეთავაზებული დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. აღნიშნულ კურიკულუმებში არსებული აქტივობები ნამდვილად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი იძლევა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების საშუალებას. საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, სკოლაში არსებული კარგად აღჭურვილი ბუნებისმეტყველების კაბინეტ-ლაბორატორია, ვირტუალური ლაბორატორიის საშუალებები, სადემონსტრაციო მასალები, თვალსაჩინოებები, მულაჟები, მიკროსკოპები და სხვადასხვა რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას მასწავლებლები ორიენტიებული არიან ცოდნის სამ კატეგორიაზე, დეკლარაციულ და პროცედურულ ცოდნასთან ერთად ცდილობენ აქცენტი გააკეთონ პირობისეულ ცოდნაზე, რასაც აღწევენ გამოყენებითი ტიპის ამოცანების დამუშავებით. **თუმცა სასურველია, განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს პირობისეული ცოდნის შეძენაში.**

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებითა და დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება. სკოლის მიერ წარმოდგენილი აშუალო საფეხურის კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსურების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე, ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური (თემა, დავალების იდეა) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთირთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები
- საგნობრიი დეპარტამენტებს პირველი სემესტრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- საგნობრივი დეპარტამენტების 2022-2023 სასწავლო წლის წლიური ანგარიშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საეტაპო აქტივობებიდან და კურიკულუმით შერჩეული მიმდინარე წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან (ინსტრუქციით) გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2. საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ, საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს ძირითადი საკითხის ფარგლებში, კონტექსტ მაგალითების სახით სწორად აქვთ გააზრებული და შეთავაზებული მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. საბუნებისმეტყველო მიმართულებით, სკოლამ განახორციელა შემდეგი პროექტები და ღონისძიებები: დედამიწის დღესთან, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საერთაშორისო დღესთან - „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“; ჩატარდა შიდა სასკოლო კონფერენცია - „წიგნიერება, ღირებულებები და განათლება“, მე-10, მე-11კლ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვიქტორინა, მე-10, მე-11კლ. სასკოლო სამეცნიერო კვირეული, დედამიწის დღესთან დაკავშირებით; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და გეოგრაფიის დეპარტამენტების ინტეგრირებული პროექტი, მე-10, მე-11 კლასებისთვის, მე-10 კლ. პროექტი “ელექტრული დენი“, მე-11კლ. პროექტი “ხიდი შეუცნობელისკენ“ და აუტისტური სპექტრის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ღია გაკვეთილი. პრეზენტაცია მე-11 კლასისთვის; საბუნებისმეტყველო მიმართულებით აგრეთვე არსებობს ეკო კლუბი -,,GASB ECO CLUB. სპორტის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერეების საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტმა ითანამშრომლოს სხვა სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებთან STEM-პროექტების განხორციელებისთვის, ასევე გამოიყენოს უნიკალური სასკოლო ბაზა არაფორმალური განათლების განსახორციელებლად, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია , ფიზიკა, ბიოლოგია) კლუბები, წრეები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომას და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

7. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს პრეზენტაციისათვის, პრაქტიკული სამუშაოებისათვის, აქტივობებისათვის და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა წინასწარ იციან გაკვეთილზე, თუ რის მიხედვით შეფასდებიან. მოსწავლეები რიგ შემთხვევაში მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში. გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება, აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლა სწორი მიმართულებით ანვითარებს შეფასების სისტემას და ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

8. შპს ,,ბათუმის ქართულ-ამერიკულმა სოლამ“ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“ (ბრძანება N01-03 – 15.01.2024), რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლეთა შეფასების ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი შეფასების პრინციპები, ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ჯგუფი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი, ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო ამოცანები, ვერიფიკაციის პროცესი და შეფასების მტკიცებულებების შენახვის წესები. სკოლამ ასევე წარმოადგინა პარტნიორ სკოლასთან შპს ,,თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის განხორციელდება სკოლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაციის მიზნით მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებით და გაფორმებული მემორანდმით სკოლა აცხადებს მზაობას ვერიფიკაციის პროცესი განახორციელოს შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

9. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: სხდომის ოქმები; ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები; მიმდინარე წელს ჩატარებული გაკვეთილის ბარათები; აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი და მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასახული როგორც განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასებები და ვერიფიკაციის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი(ბრძანება N01-03 – 15.01.2024)
- მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემების ვერიფიკაციის მიზნით გაფორმებული მემორანდული შპს,, თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლასა“ და შპს ,, ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლა“ შორის.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. სკოლაში მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია, მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. საგნობრივი ექსპერტები, პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო არსებობს. დეპარატმენტის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. ინტერვიუს დროს აქცენტი გაკეთდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული დავალებებით, რომლებიც შერჩეული/შექმნილია მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა მსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და მასწავლებლების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი ციფრული რესურსები მოსწავლეებს უადვილებს საბუნებისმეტყველი საგნებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დაუფლებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მეორე და მესამე უცხოენების შესწავლის დროს არჩევანი გააკეთონ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებს შორის. სკოლაში არსებული მრავალფეროვანი წრეები და კლუბები ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობების გამოვლენას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვის მოსწავლეზე ორიენტირებული ხასიათი, კერძოდ, გამოიყენება კომპლექსური ტიპის (ბუნების) დავალებები, რაც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლეებს შორის ინდივიდუალურობის, შემოქმედებითობისა და ავტონომიურობის განვითარებისთვის. კურიკულუმებში თემების მრავალფეროვნება, კომპლექსური დავალების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სპორტის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მასწავლებლები იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეებია სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. ასევე სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლები უშუალოდ უზრუნველყოფენ სკოლის კურიკულუმის შემუშავებას, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფილია ინფორმირების, კონსულტირების, გამოკითხვების ორგანიზებით და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებით. 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლა ორიენტირებულია შექმნას გარემო, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია და მასწავლებელთან ერთად იღებს პასუხისმგებელობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აქედან გამომდინარე საგნობრივი ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. მშობლები ეცნობიან კლასში გასახორციელებელ დავალებებს ბარათების მეშვეობით, რაც ცხადყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. საგნობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ დეპარტამენტის ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/დახვეწაზე და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე, რაც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემოს შექმნას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების ინტერესის გათვალისწინებით. კერძოდ, შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, სხვა წამახალისებელი ღონისძიება, რომლის სურვილიც ბავშვებს ექნებათ. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო. ამ ყველაფერში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კეთილგანწყობას, თანამშრომლობას მოსწავლეებთან და მშობლებთან. აღნიშნულ საკითხს ხელს უწყობს ადმინისტრაციის კეთილგანწყობა, პასუხიმგებლობის დელეგირება, დაფასება, მასწავლებელთათვის თუ სხვა დასაქმებულთათვის პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა, ეზოსა თუ სართულებზე მასწავლებელთა მორიგეობა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მუშაობა, კომპეტენტური ექთანი, გამართული ინფრასტრუქტურა, ვიდეო-სათვალთვალო სისტემა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. აღნიშნული ინდიკატორის და მისი ცალკეული კომპონენტიდან გამომდინარე, პოზიტიური სასწავლო კლიმატის დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიებები გულისხმობს მათ ჩაშენებას როგორც კურიკულუმში, ისე მის გარეთ დაგეგმილი აქტივობების სახით. აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართულია ფესტივალების ორგანიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- წრეების და კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები
- საგნობრივი დეპარტამენტების სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის ეტაპზე მოწმდება, თუ რამდენად დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს პროცესები, ხოლო შეფასების შედეგად - განხორციელებული აქტივობები რამდენად იძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველ შედეგს. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსზღვრულია კურიკულუმის განვითარების პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტები. კერძოდ, კათედრების დოკუმენტაციის შესწავლა, საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ანონიმური გამოკითხვები. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, დამატებითი მექანიზმების გამოყენებაც (მაგ. ჯგუფური დისკუსიის მეთოდი, ჩარღმავებული ინტერვიუ). მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარება მათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივ დეპარტამენტებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა. პედაგოგები კურკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერას ახორციელებენ დასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად აანალიზებენ შედეგებს. შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სადამრიგებლო პროგრამის და საგნობრივი დეპარტამენტების პორტფოლიოს გაცნობის შედეგად, ჩანს რომ სკოლას აქვს გამოცდილება და ხედვა მომავალშიც დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. ამას ადასტურებს დეპარტამენტის სხდომებზე ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზის შედეგები, მასწავლებლების და დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

3. ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, აგრეთვე თანდართულ დოკუმენტებში, შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე (მუხლი9. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება) დგინდება, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი განმარტავს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის უცხოური ენების დეპარტამენტს შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელიც თავისთავად მოიაზრებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით სკოლა/დეპარტამენტი შეძლებს განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტით რჩევით, სასურველია, შეფასების შედეგების ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იყოს ფაქტორები, რომელიც არსებული შესაძლებლობებით ხელს უწყობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებას. ეს მიდგომა გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას სკოლის კურიკულუმის კორექტირებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- შეფასების ინსტრუმენტები
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. საუბარისას სკოლის დირექციამ დაადასტურა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წყაროებს. გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, რეფლექსიების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, ასევე მშობლების ან მოსწავლეთა მხრიდან უკუკავშირი. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

5. სკოლის დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, საგნობრივი დეპარტამენტის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ვლინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად: შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, შესაბამისად ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

6. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. შესაბამისად ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

7. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა საშუალო საფეხურზე ახორციელებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის კურიკულუმით. აღნიშნული ტიპის დავალებები იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების, ასევე წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით და საგნობრივი დეპარტამენტების სემესტრული ანგარიშებით. სკოლაში ხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობით სხვადასხვა უნარების დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინებულია გარე ფაქტორებიც, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე (გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა).

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო წრეების პოლიტიკის დოკუმენტი
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო წრეების ანგარიში
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს და აგრეთვე სასკოლო და საგნობრივი დეპარტამენტების დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, ასევე მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება სკოლის ადმინისტრაციის წევრები, მუშავდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა ნაბიჯები, სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის ითვალისწინებენ მიღწევების თვითშეფასებას, სტრატეგიული გეგმის ხედვებს და წლიურ სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის დირექციასთან, დეპარტამენტის მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ წინა სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახა 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება რომ, მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, მთელი წლის მანძილზე მასწავლებლების მიერ დანერგილი სასწავლო პროცესის რესურსების, აქტივობების და სხვა ეფექტიანობის მონაცემები.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები და სხდომის ოქმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

21.05.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. ქეთევან ბოტკოველი -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი-თავმჯდომარე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მაკა ტუკვაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
3. ინგა ლომაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
5. გიორგი ნებიერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
6. დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
7. ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
8. ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
9. ციცინო თორია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
10. გიორგი კოპლატაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
11. ვერა სომხიშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: